# ლამპარი

თ ფ ი ლ ი ს ი

სამშაბათი, 16 (29) მაისი.

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

პეტერბურგის პროლეტარიატი მისალმენის პირით ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავს კავკასიელ ამხანაგებს.—დუმა და მთავრობა ერთმანეთს შეეჯახნენ.—დუმა რევოლიუციონერდება.—თფილისის გენ-გუბერნატორს და პოლიცმეისტერს ყუმბარა ესროლეს.

№ 21

ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი.

№ 21


„ლამპრის" რედაქცია სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც კი მოეპოვება ქუთათურ ფედერალისტების მიერ გამოცემული ფურცელი **„ორი თვითმპყრობელობა"**, მოაწოდოს რედაქციას, რაც შეიძლება ჩქარა.

## პეტერბურგიდან

## პირადი დეპეშა

**ზარეჩნი რაიონების მუშათა მიტინგი—ათას კაცზე მეტი, ულოცავს კავკასიელ ამხანაგებს ბრწყინვალე გამარჯვებას მთავრობაზე და ბურჟუაზიულ პარტიებზე და თვლის ამ დიდებულ გამარჯვებას მთელი რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის გამარჯვებათ.** მიტინგის მონდობილობით სახელმწიფო დუმის წევრი **მიხაილჩენკო.**

**სიღნაღი. სალამი თფილისის ამხანაგებს. გისურვებთ საბოლოო გამარჯვებას.**

სიღნაღის მუშები.

### მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო!

სახელმწიფო დუმა დიდის სიფრთხილით და მოკრძალებით ექცეოდა მთავრობას, დუმის სიფრთხილე პირდაპირ ლაჩრობას უდრიდა, მაგრამ იმან თავიდან მაინც ვერ აიცილა აუცილებელი. დუმის სასტიკი შეხეთქება ბიუროკრატიულ მთავრობასთან და ამის შედეგათ მთავრობასთან კავშირის გაწყვეტა დღეს უკვე ფაქტი არის.

მთავრობა როგორც იყო გამოძვრა დღის სინათლეზე, და 13 ამ თვეს წარსდგა სახელმწიფო დუმის წინაშე. სამინისტროს თავმჯდომარემ წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია დუმის ადრესის საპასუხოთ და როგორც მოსალოდნელი იყო, უტიფრათ ფეხქვეშ გასთელა საკანონმდებლო კრების ყოველივე ხელშეუხებელი უფლებანი.

მინისტრ-პრემიერმა განაცხადა, რომ დუმა თავის ადრესში ეხება ისეთ საკითხებს, რაიც სრულებითაც არ შედის საკანონმდებლო კრების კომპეტენციაში (უფლებრივ საზღვრებში). დუმას არა აქვს უფლება—განაცხადა მან—გადაშინჯოს და შესცვალოს ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის მართვა-გამგეობის ძირითადი კანონები; დუმას არა აქვს უფლება მოითხოვოს სამინისტროს პასუხისმგებლობა ხალხის წარმომადგენელთა წინაშე; მას შეუძლიან შეეკითხოს ზოგიერთ უკანონობის შესახებ და თუ სამინისტრო საჭიროთ დაინახავს, პასუხს გასცემს, თუ არა ყურადღებასაც არ მიაქცევს. დუმამ უნდა შეიმუშავოს კანონი მოქალაქეთა ძირითად პოლიტიკურ უფლების (საარჩევნო უფლების) შესახებ, მაგრამ მთავრობა კი იმ აზრისაა, რომ ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა.

გლეხთა საკითხი სამინისტროს აზრითაც უპირველესი და უსაჭიროესი საკითხია და ამიტომ იგი მზათ არის, რომ გლეხთა მიწათმფლობელობა, იქ, სადაც მიწის სივიწროვეა გაფართოვებულ იქნას სახელმწიფო მამულებიდან; ამასთანავე გლეხებს ნება მიეცემათ ბანკებიდან აიღონ ხოლმე სესხი კერძო მემამულეთაგან მიწების შესასყიდათ; მთავრობა ეცდება აგრეთვე ხელი შეუწყოს გლეხების გადასახლებას ციმბირში და სხვა თავისუფალ ადგილებზე. თითქოს ყველა ეს ზომები მთავრობას დღევანდლამდე ჯერ არ ეხმაროს, თითქოს—მიუხედავათ ამ ზომებისა, მთავრობას გლეხკაცობა არ მიეყვანოს უკიდურეს სილატაკემდე და სიმშილობამდე. რაც შეეხება კერძო მემამულეების სავალდებულო ჩამორთმევას (принудит. отчуждение) სახალხო, საქვეყნო საჭიროების დასაკმაყოფილებლათ, ამ პრინციპის შემოღება—სამინისტროს აზრით—იქნებოდა სახელმწიფო ცხოვრების ძირის გამოთხრა და ამიტომ მთავრობა ამ პრინციპის წინააღმდეგია. სამინისტრო აცხადებს ამას, მიუხედავათ იმისა, რომ განათლებულ ქვეყნების კონსტიტუციაში დიდი ხანია ეს პრინციპი ჩაწერილია და არც შეიძლება სხვანაირათ ყოფილიყო, რადგან ამ პრინციპის მიუღებლათ წარმოუდგენელია თანამედროვე სახელმწიფოს არსებობა.

ამნისტიის შესახებ მთავრობა აცხადებს, რომ ამის მოთხოვნა არ შეადგენს დუმის უფლებას, თვითონ მთავრობა კი წინააღმდეგია ამნისტიის გამოცხადების; მაგრამ განსაზღვრულ შეწყალებას უმაღლესი მთავრობა არ უარყოფს. იგი ეცდება განთავისუფლებულ იქნას ის დამნაშავენი, რომელთა შესახებაც დარწმუნდება, რომ იგინი „კეთილსაიმედონი" არიან; „საშიშ დამნაშავეთ" კი მთავრობა არას გზით არ გაუშვებს თავის ბრჭყალებიდან.

საზოგადოთ, მთავრობას საჭიროთ მიაჩნია განაგრძოს თავისი პოლიტიკა, გენერალ-გუბერნატორების დიქტატურა, სამხედრო მდგომარეობა, გაძლიერებულ დაცვის წესები და ყოველგვარი რეპრესიები. ამას ითხოვს თურმე პიროვნებისა და მისი ქონების უზრუნველყოფა. ერთის სიტყვით მთავრობა ბეჯითათ აღიარებს, რომ მისი განუდრეკელი სურვილია განაგრძოს ცეცხლისა და მახვილის პოლიტიკა, განაგრძოს იმ დრომდე, ვიდრე იწარმოებს გამანთავისუფლებელი მოძრაობა. მთავრობამ ეს პირდაპირ განაცხადა გორემიკინის პირით და იუსტიციის მინისტრმა შჩეგლოვიტოვმაც ამას ბეჭედი დაასვა. „მთავრობა,—განუცხადა მან დუმას,—იძულებულია იხელმძღვანელოს ძველი კანონებით", თუმცა მზათ არის დუმასთან ერთათ გააუმჯობესოს ეს კანონები, ესე იგი ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის კანონები, ე. ი. მთავრობის თვითნებობა, ძალადობა და ძალმომრეობა.

ამრიგათ, სამინისტროს დეკლარაცია, როგორც ეს იქვე სამართლიანათ შენიშნა დეპუტატმა ნაბოკოვმა, რუსეთის იმპერიის ხალხს პირდაპირ იწვევს საბრძოლველათ. მთავრობა ამ დეკლარაციით უარჰყოფს დუმის საკანონმდებლო, საპარლამენტო თაოსნობას და მოუწოდებს დუმისა და ხალხის რევოლიუციონურ თაოსნობას. მთავრობა უარყოფს მშვიდობიან, ნორმალურ საპარლამენტო მოქმედებას და სიტყვას აძლევს რევოლიუციას.

გლეხთა დეპუტატმა ალადინმა მთავრობის დეკლარაციის საპასუხოთ იქვე განაცხადა: „აჰა დგება ჟამი აშკარა რევოლიუციონური ბრძოლისათვისო".

უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო დუმა ამ ხელათ სრულიად დაუახლოვდა იმ ისტორიულ როლს, რასაც მას აწვდის მიმდინარე გამანთავისუფლებელი მოძრაობა. დუმამ უკვე პირველი ნაბიჯი გადასდგა ამ როლის შესასრულებლათ. მან ამ ხელათ მართლა გამოიჩინა მოქალაქობრივი გამბედაობა და პოლიტიკური უნარი. მას არ შეეძლო ასე არ მოქცეულიყო, რადგან მთავრობამ მას დანა ყელში მიაბჯინა დასაკლავათ. სახელმწიფო დუმამ, მართალია, ძალიან თავდაჭერილათ, ძალიან მორიდებით, მაგრამ მაინც სთქვა ის, რაც უსათუოდ უნდა ეთქვა, თუ კი მას რაიმე პრეტენზია აქვს სახალხო წარმომადგენლობაზე. დუმის, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე დეპუტატებმა ერთხმათ განაცხადეს, რომ, „რადგან მთავრობა უარს ამბობს დაკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნები, ურომლისოთაც შეუძლებელია ქვეყანაში მშვიდობიანობის ჩამოგდება და სახალხო წარმომადგენლობის ნაყოფიერი მოქმედება და რადგან ასეთი უარყოფით მთავრობა ზიზღით მხარს უქცევს ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებს, დუმა მთელი ქვეყნის წინაშე უპასუხისმგებლო სამინისტროს უცხადებს სრულ უნდობლობას და აღიარებს მიუცილებელ საჭიროებას, რომ ეხლანდელი მთავრობა დაუყონებლივ „ოტსტავკა[ში]" გამოვიდეს და შესდგეს სამინისტრო, რომელსაც უნდა ჰქონდეს დუმის ნდობა". ეს რეზოლიუცია მიღებულ იქნა მთელი დუმის მიერ, წინააღმდეგ შვიდი დეპუტატისა. დუმის ასეთი ოპოზიციონური ერთ[სუ]ლოვნობა მეტის მეტათ საყურადღებო [და მნიშვნელოვანი] მოვლენაა და ძალიან ბევრს აგულისხმობს.

თუ მემარცხენე დეპუტატმა ანიკინმა—გლეხების წარმომადგენელმა—გამოსთქვა უსაზღვრო აღშფოთება იმის გამო, რომ მთავრობა დუმას ახსნა-განმარტების გაკვეთილებს აძლევს მიწისა, ქვეყნისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის შესახებ, ზომიერმა ლიბერალ დეპუტატმა და მსოფლიოთ ცნობილ მეცნიერმა მაქსიმ კოვალევსკიმ განაცხადა: სახელმწიფო დუმა არავის და არაფერს არ შეუშინდება და განაგრძობს თავის მუშაობას; დუმა ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის, თუ მას თავს არ დაესხმება მთავრობის შეიარაღებული ტლანქი (грубая) ძალა.

დიახ, ახლოვდება ისტორიის ეპოქის შემქნელი დიდებული მომენტი! სახელმწიფო დუმამ პირველი დიდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა ხალხთან გამოსჭედოს ის ცხოველ-მყოფელი კავშირი, რომელიც ხვალ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იფეთქებს რევოლიუციონურ ქარიშხლათ და მიმდინარე განმანთავისუფლებელ მოძრაობას მიანიჭებს სრულ გამარჯვებას.

## ახალი ამბები

კვირას, 14 მაისს, დილის 10 საათზე **ყუმბარა ესროლეს** თფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორს ტიმოფეევს და თფილისის პოლიცმეისტერს მარტინოვს; არც ერთი მათგანი არ დაშავებულა. საქმე ასე იყო: როდესაც გენერალ-გუბერნატორი პოლიცმეისტერ მარტინოვის თანხლებით ნამესტნიკის სასახლისკენ მიემართებოდა, დავითის ქუჩის ქვაფენილიდან ვიღაც უცნობმა ყუმბარა ესროლა ისეთის ძალით, რომ ყუმბარა გენერალ-გუბერნატორის ეტლს გადასცილდა და იქვე მეიზელსონის მაღაზიის წინ გასკდა. ყუმბარის ნატეხებით იქვე მოკლულ იქნა გენერალის მხლებელი კაზაკი ვასილი მალი; როდესაც პოლიცმეისტერმა მარტინოვმა ყუმბარის მსროლელი დაინახა, საჩქაროთ ეტლიდან ჩამოხტა და რევოლვერით ხელში უკან დაედევნა გაქცეულ მსროლელს; მაგრამ სწორედ ამ დროს დავითის ქუჩიდანვე ვიღაც მეორე უცნობმა მეორე ყუმბარა ჩაუგდო პოლიცმეისტერს ფეხებში; შემდეგ გაბრუნდა და გაიქცა. მეორე ყუმბარა არ გასკდა. პოლიცმეისტერი უკან დაედევნა მეორე ყუმბარის მსროლელს და თავისივე ხელით იქვე მოკლა ის; პირველის მსროლელი კი გაიქცა. მოკლულის ვინაობა ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

✦ 13 მაისს, ღამის 1 საათზე ჟურნალ **„ვსტან სპიაშჩი"**-ს რედაქციაში მივიდა მე-2 საპოლიციო უბნის ბოქაული გოროდოვოებით და გამოუცხადა ჟურნალის რედაქტორს მღვდ. იონა ბრიხნიჩევს, გენ.-გუბერნატორის განკარგულებით ჟურნალი იხურება სამხედრო წესების მოხსნამდეო. ამის შემდეგ გაჩხრიკეს რედაქცია და დაიჭირეს ხსენებულ ჟურნალის მე-3 ნომერი ათას ცალამდე; რამდენიმე ეგზემპლიარიც სტამბაში დაიჭირეს. მეორე დღეს პოლიციელები ქუჩებში ჩხრეკდენ მგზავრებს და დახურულ გაზეთის ნომრებსართმევდენ.

✦ კვირას, 14 მაისს თფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში ქალაქის თავის მოადგილის თავმჯდომარეობით შედგა **თფილისის გუბერნიის მუშათა რწმუნებულების კრება.** ამათ უნდა აერჩიათ თავიანთ შორის 1 ამომრჩეველი გუბერნიის საარჩევნო საკრებულოსთვის. კრებაზე 6 რწმუნებული გამოცხადდა, რომელთაც ერთხმათ ამოირჩიეს მუშა ვლადიმირ მაქეევი, სოც.-დემოკრატი.

✦ 14 მაისს გამოვიდა ახალი სატირიული **ჟურნალი „კრაპივა"**, რომელიც პოლიციამ გამოსვლისთანავე დაიჭირა. ჟურნალი საინტერესო შინაარსისა იყო.

✦ ამ დღეებში ბ-ნმა კ. ი. ჯაფარიძემ აიღო ნებართვა რუსული **ყოველდღიური გაზეთის** გამოცემისა. გაზეთს სახელათ „ნაბატ" ეწოდება.

### სათათბიროს არჩევნები

**დუშეთი.** როგორც მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში სხვა და სხვა დროს ქ. დუშეთში მოხდა ოთხჯერ არჩევნები რწმუნებულთა საგუბერნიო არჩევნებისათვის. პირველი არჩევნები მოხდა გლეხთა 28 რწმუნებულისა, 30 აპრილს, რომელთაც აირჩიეს ორი რწმუნებული, ანდრია კობახიძე და ივანე ურჯუკაშვილი.

მეორე არჩევნები მოხდა ერთსა და იმავე დროს ესე იგი 3 მაისს, ქ. დუშეთში და სოფ. ახალგორში... არჩევნები იყო დანიშნული იმ რწმუნებულთა ასარჩევათ, რომელნიც იხდიან წლიურ გადასახადს მიწაზედ ნაკლებ 15 მანეთისა. ორივე ადგილას ამოირჩიეს ხუთ ხუთი რწმუნებული, ქ. დუშეთში ხუთივე აზნაურები და ახალ გორში კი მემამულე გლეხები. ეს ათივენი კი სოციალდემოკრატიულ პარტიის თანამგრძნობნი. ამ ათ კაცს სხვილ მემამულეებთან ერთად უნდა აერჩიათ 7 მაისს ერთი რწმუნებული საგუბერნიო არჩევნებში გასაგზავნათ.

მესამე და მართლაც შესანიშნავი არჩევნები მოხდა ქ. დუშეთში 5 მაისს. ამ დღეს, როგორც მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში, დიდძალი ხალხი დაესწრო, როგორც მაზრის სამღვდელოება, აგრეთვე ვაჭრები, ინტელიგენცია და მემამულენი, ამათ უნდა აერჩიათ ერთი რწმუნებული.

ჩვენს გაზეთში შეცდომით გვქონდა მოხსენებული თევდორე კობაიძე, ნამდვილათ კი აირჩიეს ანდრია კობაიძე ცნობილი, როგორც განმათავისუფლებელ მოძრაობის დაუძინებელი მტერი. ბლაღოჩინ-მღვდელი დიმიტრი მეტრეველი წერეთლის არჩევამ იმდენათ გააბრაზა, რომ აღარ იცოდა რა ექნა, „მართლა ირჩევდენ წერეთელს, თუ ხალხი მასხრად იგდებს ამ სინდის გაყიდულ მღვდელსაო"? იკითხა მან, მას არ ჯეროდა თუ მართლა აირჩიეს წერეთელი, თუ არა. ბლაღოჩინმა ფრთები შეისხა და დღეში შვიდჯერ გარბოდა პოლკში კამანდირთან: „ესა და ეს კაცი უნდა დაიჭირო, ეს უნდა ჩამოახრჩო, ესენი უნდა ციმბირში გაგზავნო და განსაკუთრებით კი მღვდელი წერეთელი და მასწავლებელი ხანდამაშვილი უნდა საჯაროთ დაახვრეტინოო". ბევრი თავისუფლებისათვის მებრძოლი გაამგზავრა ბლაღოჩინმა თავისი გესლიანი ენით ცივ ქვეყნებში, ხალხის თვალის ასახვევათ თავისი უმცროსი ვაჟიც კი ჩამოგზავნა ციხეში ოცი დღით, რომ ვითომც ისიც თანაუგრძნობდა მოძრაობას და შვილებიც კი შესწირა. სხვა მიზნით ჰყავდა ჩამოგზავნილი, რასაც ეხლაც არა ჰმალავს და გაიძახის უმაღლეს წრეებში: „ჩემი შვილი იმიტომ იჯდა ციხეში, რომ გაეგო ვინ რას იტყოდა, ვინ რაზე ილაპარაკებდა, ვინ ვის შეეხებოდა და შემდეგში ჩემთვის ცნობები მოეწოდებინაო". ეხლა კი, როცა იგრძნო ცოტათ თუ ბევრათ მთავრობის სისუსტე, ხალხის აზიმოქრებული ხმა თავისუფლებისა, ხალხის წარმომადგენლობა და სათათბიროში აზრთა გამოთქმა, თავმომწონედ გაიძახის: „მე არ თანაუგრძნობ სოც.-დემ. მუშათა პარტიას და ამ პარტიის წევრნი იმაზე გადამეკიდენ და გაზეთშიაც გამომჭიმეს, ვითომც მე ხულიგანი ვიყო და კომისიაში მონაწილეობას ვიღებდე... მე ვარ სოციალ-ფედერალისტი, სულით და გულით ვეკუთვნი ჩემი შვილებით ამ პარტიას და ნუ თუ ამაზე უნდა გამლანძღონ სოციალდემოკრატებმაო"? მე ამ სტრიქონების დამწერი დარწმუნებული ვარ და არც თუ სოციალ-ფედერალისტთა ჯგუფი იტყვის უარს იმაზედ, რომ ბლაღოჩინი მეტრეველი არ ეკუთვნის მებრძოლ პარტიას.

ასე თუ ისე ბ. სიმონ წერეთლის არჩევა არ ეპაშნიკათ აგრეთვე ზოგიერთ ბიუროკრატებსაც, როგორც მაგალითად ხარჯის ამკრებ ინსპექტორს (податной инспекторъ), დუშეთის სამხედრო ექიმს, სამოქალაქო სკოლის ზედამხედველ ვიახირევს, რომელმაც სკოლებში თვალსაჩინოთ დაუსურათა ხანდამაშვილს მომავლი ჩამოხრჩობა და კონვულსიები, ექიმს იაშვილს და ბევრს სხვას, რომელთაც შეხვდათ თითო ბარათი და ყუთის დადგმაზე უარი განაცხადეს და გაჯავრებულებმა ჩაუყარეს უშველებელი შავი კენჭები, მაგრამ რას იზამდა 123 თეთრთან 11 შავი? ერთმა წარჩინებულმა პირმა ხრიკიც კი მოუდო ყუთის დადგმას, მაგრამ ხალხმა მაინც თავისი გაიტანა?

მეორე დღეს, ესე იგი 6 მაისს დუშეთის მოქალაქე—ვაჭრებმა „სურფ გეურქის" დაჩაში გამართეს სადილი (სამღვთო), რომელზედაც მიიწვიეს ამორჩეული სიმონ წერეთელი, ადგილობრივი ს.-დ. მ. პ. სამაზრო წარმომადგენელი, მომავალი ასარჩევი სოციალდემოკრატი მ. მამულაშვილი და ვექილი გ. ჯაფარიძე. სადილს დაესწრო 120-დე კაცი და ბევრი საგრძნობიერო სიტყვები იქმნა წამოთქმული, მიმართული ახლად ამორჩეულ წერეთლისადმი.

7 მაისს მოხდა მეოთხე არჩევნები სხვილ მემამულეთა, რომელზედაც დაესწრო ათი 3 მაისს ამორჩეულნი და რვა მსხვილი მემამულე თავად-აზნაურობა. ყველამ ერთხმათ ამოარჩიეს. ბ. ლევან ანტონის ძე მამულაშვილი—სოციალდემოკრატი, რომელმაც მიიღო 18 თეთრი და არც ერთი შავი.

ამ გვარათ 30 აპრილიდან 7 მაისამდის ოთხივე არჩევნებზე ამოარჩიეს ოთხი კაცი ქთელ დუშეთის მაზრიდან საგუბერნიო არჩევნებისათვის—ოთხივე სოციალდემოკრატები.

მიმინო.

**სამტრედიის საზოგადოება.** 8 და 9 მაისს, სამტრედიაში მოხდა ხელმეორეთ წვრილ მემამულეთა სათათბიროს არჩევნები, რადგანაც პირველი, 20 აპრილის არჩევნები უკანონოთ სცნო სამაზრო კომისიამ. ეს გადაწყვეტილება უკვე 6 მაისს იცოდა ს.-დ. პარტიულმა ორგანიზაციამ. ამიტომ მან წინდაწინვე ყოველი ზომა მიიღო, რათა არჩევნებს ხალხი მომზადებულათ და შეგნებულათ შეხვედროდა. 7 მაისს მან მთელ სამტრედიის რაიონში ბევრ ალაგას საარჩევნო კერძო კრება მოახდინა, სადაც პარტიის ორატორებმა ხალხს განუმარტეს არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა და უჩვენეს, როგორ მოქცეულიყვენ კენჭისყრის დროს და რომელ კანდიდატებისათვის უნდა მიეცათ ხმა. ყველგან პარტიის წარმომადგენელმა ხალხს კანდიდატთა სია წარუდგინა შესამოწმებლათ და ხალხმაც ყველგან მოიწონა და შეავსო იგი თავის მხრით დასახელებულ კანდიდატებით. ამნაირად კანდიდატთა რიცხვი სამასამდე ავიდა. კრებებზე ხალხმა ყველგან ერთხმათ გადაწყვიტა მიეღო ენერგიული მონაწილეობა არჩევნებში, ესარგებლნა საარჩევნო უფლების აჩრდილითაც კი და გაეყვანა უსათუოდ თავისი კანდიდატები მიუხედავათ მთავრობის მიერ მოგონებულ ხრიკებისა და მახეებისა.

მთავრობამ საარჩევნო კრება 8 მაისს დანიშნა, ორშაბათს, სამუშაო დღეს. მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს, თუ რა საგრძნობელია ასეთი მოცდენა გლეხისთვის. ხალხი ერთ წუთსაც არ შეჩერებულა ამ გარემოებით; კარგათ ესმოდა პარტიის სიტყვები: „ვინც ხვალ კრებას დააკლდება და ჩვენს კანდიდატებს ხმას არ მისცემს, იგი „ხულიგანათ" ჩაითვლება და არც იქნება ხალხში გასარევიო".

მეორე დღეს, 8 მაისს, დ. სამტრედიისკენ დილის 7 საათიდანვე იწყო დენა ხალხმა და 9—10 საათამდე ისეთი მასსა მოზღვავდა, რომ სამტრედიის ეკლესიის მოედანი და ქუჩები სულ ერთიანად გაიჭედა: თითო ოჯახიდან ორი და სამი წამოსულიყო; ვინც კი მიწაზე ბაჯს იხდის, ყველა იყო მოწვეული. ამნაირათ საარჩევნო

კრების ადგილზე ათი ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა. პარტიული ორგანიზაციაც ღირსეულათ შეეცადა ამ მდგომარეობით ესარგებლნა და კიდეც მოახერხა თავისი განზრახვების სისრულეში მოყვანა. სამტრედიის წვრილ მემამულეთა საარჩევნო კრება ამ დღეს დიდ სახალხო მიტინგათ გადაიქცა და რამდენიმეთ დემონსტრატიული ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით დასასრულს.

კრებას თავმჯდომარეობდა კ. ნიჟარაძე, რომელმაც ხალხი ორ ჯგუფათ გაჰყო და თვითეულს ცალკე ალაგი და ცალკე თავმჯდომარე მიუჩინა. პოლიცია არსად გამოჩენილა. ნიჟარაძემ, როცა დაინახა, რომ მოზღვავებულ ხალხს პარტიის დაუხმარებლათ ვერაფერს გაურიგებდა,—პარტია კი აქ მხოლოდ ერთი ჩანდა—მოისურვა, რომ ჩვენი პარტიის წარმომადგენლებს მიეღოთ მონაწილეობა წესრიგის დაცვაში და არჩევნების მოწყობაში. პარტიის წარმომადგენლებმაც არ უარყვეს ასეთი წინადადება და ღირსეულათაც გაუწიეს ხელმძღვანელობა არჩევნებს. ათი საათიდან დაიწყეს ამომრჩეველთა სიების ამოკითხვა და საღამოს 7 საათზე ძლივს დაასრულეს. შეუძლებელი იყო კრების განგრძობა, ამიტომ გადაწყვიტეს მეორე დღისთვის გადადება; ამას კი ორი გარემოება ეღობებოდა წინ: ერთი ის, რომ ხალხი კარგავდა მეორე სამუშაო დღეს—განსაკუთრებით შორიდან მოსულები იყვნენ შეწუხებულნი—მეორე ის, რომ არ იცოდნენ მთავრობა რას იტყოდა ამაზე. მაშინ გადაწყვიტეს მიემართათ მთავრობისთვის დეპეშით და პასუხი გაეგოთ; ხალხისთვის კი ჩაეგონებიათ, რომ მათი მოცდა და საქმის ბოლომდე მიყვანა აუცილებლათ საჭიროა და მოითხოვს მათგან მსხვერპლს, რასაც მებრძოლი ხალხი არაოდეს არ დაიშურებს. პარტიის ორატორებმა განუმარტეს ხალხს კრების მიზანი, არჩევნების დანიშნულება და სათათბიროს ხასიათი; აუხსნეს, თუ რას მოითხოვს ხალხისაგან პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლა და თხოვეს მას, რომ ნუ დაიშურებდნენ ორიოდე დღეს საერთო ინტერესებისთვის, თავიანთი სურვილების გამოსახატავათ. ხალხმა თანხმობა გამოაცხადა და დაიშალა იმ გადაწყვეტილებით, რომ მეორე დღეს 7 საათიდანვე შესდგომოდა საქმეს და ვიდრე არჩევნებს ღირსეულათ არ მოახდენდა, არ დაშლილიყო; მთავრობისგანაც თანხმობა მოვიდა. იმ ღამეს სამტრედია და მისი მიდამოები ომის ნამდვილ ბანაკს წარმოადგენდა. იმდენი ხალხი იმ ღამეს იქვე დაბინავდა.

9 მაისს ხალხი ისევ შეიკრიბა იმავე ალაგზე და განაგრძო საქმე. გამოირკვა, რომ ხმა უნდა მიეცა სამი ათას კაცს ორას კანდიდატისთვის. კანდიდატთა სიები შენობების კედლებზე გააკრეს და ხალხი ამნაირათ ეცნობოდა მათ. ამავე დროს იწერებოდა კანდიდატების სახელი და გვარი საარჩევნო ბარათებზე. ასამდე კაცი წერდა სიებსა და ამ ბარათებს, მარა მაინც ვერ ასდიოდა მეკენჭეთა მოთხოვნილებას. მეკენჭეს აძლევდენ ორასამდე ნაჭერ ქაღალდს, რომლებზედაც კანდიდატების სახელი და გვარი იყო აღნიშნული და უჩვენებდენ საარჩევნო ყუთში ჩაეღაგებია ან შავში, ან თეთრში; მიდიოდენ მეკენჭეები და ამ ერთი მუჭა ქაღალდის ნაჭრებს საარჩევნო ყუთის თეთრ განყოფილებაში ალაგებდენ და ამ ნაირათ ჩვენი პარტიის ყველა კანდიდატებს ერთიანათ ათეთრებდენ.

ამ დღესაც საქმე მეტათ გაჭიანურდა: ჩვენს პარტიას, როგორც მეტოქე, ისე არც დამხმარე არავინ გამოუჩნდა, მარა უინციდენტოთ არც აქ გათავებულა არჩევნები. ვიღაც ახირებულმა „ხულიგანმა" გახურებული კენჭის ყრის დროს მოინდომა ხალხისთვის ხელი შეეშალა, აურ-ზაური გამოეწვია და მით არჩევნები სამასხაროთ გაეხადნა. მან საიდანღაც მოულოდნელათ წამოიყვირა,: „არიქა ჩქარა, ჩქარა თორემ კენჭი იხურებაო". ხალხი, შეშინებული ხმის უფლების დაკარგვით, მაშინვე საარჩევნო ყუთებს მიაწყდა; ბევრი დუქნებიდან გამორბოდა და გზაში მიმავალთ ეჯახებოდა; შეიქნა საარჩევნო ყუთებთან მიწოლა-მოწოლა, მარა ხელმძღვანელებმა მალე დაამშვიდეს. ეხლა ხალხმა მატყუარას დაუწყო ძებნა, მარა უცნობმა „ხულიგანმა" დროზე უშველა თავს და მიიმალა, კრების დასასრულს მოხდა მეორე ინციდენტიც. ერთმა მეკენჭეთაგანმა ვიღაც ბაღდავაძემ დიდათ აღაშფოთა თავისი საქციელით ხალხი. მან, როცა ბიულეტენები ჩაიბარა და საარჩევნო ყუთში უნდა ჩაეღაგებია, არ მოისურვა ასე მოქცევა და ქაღალდები სივრცეში გაჰფანტა—მიაბნ-მოაბნია. ამით ხალხმა შეურაცყოფილათ იცნო თავი და პარტიის მოუსმენლათ მოინდომა მისი შეურაცყოფა, მარა პარტიის წარმომადგენლებმა ხალხი შეაჩერა და წინადადება მისცა მოესმინა პასუხი ბაღდავაძისაგან. ამ უკანასკნელმა პასუხათ თავი ფედერალისტათ გამოაცხადა და დაიწყო მტკიცება, რომ ს.-დ. ხალხს ატყუებს და აცდენს. ხალხს არ უნდოდა ასეთი პასუხის მოსმენა; მარა წარმომადგენელმა ისევ შეაჩერა და ურჩია მოესმინათ; შემდეგ თვითონვე განუმარტა ხალხს, თუ რა სურთ ს.-ფედერალისტებს და ვინ არიან ისინი. ბაღდავაძემ ისევ მოინდომა ს.-დ. ხალხის წინაშე გაკრიტიკება და დაიწყო რაღაც აბდა-უბდის ხლართვა, მარა ხალხმა აღარ დააცალა და შესძახა: „ძირს, ძირსო". ამის შემდეგაც ბევრი ურჩია ს.-დ. ხალხს—დააცალეთ, ს.-ფედერალისტები სარგებლობენ ასეთი შემთხვევით და ჩვენ მტარვალობას, ძალმომრეობას გვაბრალებენ, თითქოს ს.-დ. მათ სიტყვის ნებას არ აძლევდეს ხალხთან, ამიტომ ჯობია, მოუსმინოთო, მარა ხალხმა მაინც ვერ აიტანა ასეთი ახირებული ორატორის აბდა-უბდა და ძირს ჩამოაგდო იგი; მაშინ გაბოროტებულმა ფედერალისტმა დაუწყო ხალხს უშვერი და შეუფერებელი სიტყვით ლანძღვა და აქ ისევ პარტიის წარმომადგენელს რომ არ გაეტაცნა იგი და არ გაეშორებია ხალხიდან, საქმე ცუდათ წაუვიდოდა.

ამ ნაირათ დასრულდა კრება საღამოს 6 საათზე. აირჩიეს ორასი რწმუნებული სამაზრო კრებისთვის, რომელიც 12 მაისისთვისაა დანიშნული. ორასივე ს. დ. პარტიის კანდიდატებია. ხალხი გამხნევებული დაიშალა. დაბრუნებისას სოფლების შარაგზებზე ახალგაზდების სარევოლუციო სიმღერებით გაისმოდა და მით შინ დარჩენილებსაც ბრძოლის წყურვილს უღვიძებდა.

რ. მეხაძე.

## პროვინცია.

**დ. ჩოხატაური** (გურია). „აღამაჰმადხანის დრო" ნელ-ნელა დავიწყების სამარეში გადადის და თავის [illegible] ისხნა ყოფილ არსებობაზე დღეს მხოლოთ ღუხწირ სასტრაჟო „ნაშთები"-და გველაპარაკება. კვლავ გაისმის მკვეთრი „პროტესტის" ხმა, რომელიც სხვათა შორის იხატება პირველი მაისის ღირსეულათ დღესასწაულობაში! როგორც საერთოთ გურიაში, ისე მის სკოლებშიაც, თანახმად გურიის მასწავლებელთა კრების გადაწყვეტილებისა, იუქმეს პირველი მაისი; სამაგიეროთ ეგრეთ წოდებულ „ხელმწიფის დღეებში" ყველგან ჩვეულებრივი მეცადინეობა გაჩაღეს. როგორც ყველაფრიდან ჩანს, მასწავლებელთა „კორპორაცია" მტკიცეთ ადგია თავის აღთქმას: „ს.-დემოკრატიულ პარტიის ფრთის ქვეშ ვიმოქმედებთ"...

თანახმად „დამპრის" მე-15-ე №-ში მოთავსებული ცნობისა, 300—400 კაცისაგან შემდგარი რაზმი, ნაგავინის პოლკის ნაწილი, აქედან უკვე გავიდა. თავისი ორი თვის აქ მყოფობის განმავლობაში ამ რაზმმა დაბა და მის გარემო მდებარე სოფელი სულ მაინკრ-მთანგრია, გაძარცვა და დაარბია. სალდათებიც და ოფიცრებიც დიდი ენერგიით და თავ გამოდებით მოქმედებდენ და მოქმედებდენ სწორეთ ისე, როგორათაც შესაძლო იყო იურმე არ ემოქმედნათ. ამ ჟამათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადგილობრივი პოლიციის რაინდულ მოქმედებას, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხალხი მომავალი რევოლუციონური გამოსვლისათვის ძალების მოკრებას და თვით გამორკვევას მხნეთ და ენერგიულათ შეუდგა. თუ საითკენ იქნება თავდაპირველათ მიმართული ეს ხალხის თვით გამორკვევა, მისი აზრი და გონება, ეს ადვილი მისახვედრია; და იმ ვაჟბატონებს, რომლებიც უებათ მოზვირთებულმა „მღვრიე ტალღამ" ეხლა ასე ურცხვათ „ზურგზე გამოაშრალა" და ნიღაბი ახადა, რცხვენოდეთ და ძრწოდენ ხალხის მომავალი მრისხანე ხმის წინაშე!..

ამ ჩვენს დაბაში არსებობს სასოფლო საავათმყოფო სამკურნალოთი. ის, როგორც მთავრობის სხვა დაწესებულება, ემორჩილება განსაზღვრულ კანონებს. კანონები ხომ, თანახმათ რუსეთის ადათებისა, საზოგადოებისთვის კი არ არსებობენ, პირიქით თვით საზოგადოება არსებობს კანონებისთვის და ეს მით უმეტეს ახლა, ამ გაძლიერებული რეაქციის დროს. ამ მხრით კი ჩოხატაურის საავათმყოფო გამოსადეგ ერთ მაგალითს წარმოადგენს: რეაქციას მასზე ვერავითარი გავლენა ვერ მოუხდენია. მაგალითად, საავათმყოფოს წინ გამოკიდებულია სავალდებულო კანონთა ნუსხა, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „ავათმყოფებს უნდა დებულობდენ დილიდან ნაშუადღევის ორ საათამდეო". ნამდვილათ კი რას ვხედავთ! ნაშუადღევის 4 ზე ხშირათ 5-ზედაც ავათმყოფებს ჩვეულებრივ დებულობენ, სინჯავენ და წამლებს ურიგებენ. ექიმი, საზოგადოებისადმი ღრმა თანაგრძნობითა და სიყვარულით გამსჭვალული, არ ტოვებს სამკურნალოს, სანამ უკანასკნელი ავათმყოფიც არ არის გასინჯული. ასეთი მოქმედების თვის ეს ადამიანი (საავათმყოფოს ექიმი ამ ჟამათ ბ. ჭოროჭაია) და აგრეთვე მისი თანამოსამსახურენი ღრმა პატივისცემასა და თანაგრძნობას იმსახურებენ.

იგივე არ ითქმის ჩვენ მაზრის ექიმზე, (დ. ერისთავი) რომელიც აგერ ორი წელიწადია „ოტპუსკით" სარგებლობს და არ იქნა ამ ოტპუსკს ბოლო არ მოეღო. ის ხან მანჯურიაშია, ხან თფილისში, ხან სხვაგან... თავის თავათ ცხადია, რომ უფასო წამლობასა და ექიმობას მისგან არც არავინ ითხოვს, არც არავინ ელის, მხოლოთ ადგილი რომ განთავისუფლებია იმ დალოცვილს, სხვა ვინმე მაინც მოვიდოდა მის ადგილზე და, ამ ნაირათ, საზოგადოებაც უექიმოთ აღარ დარჩებოდა. იწყება ჩვენში ციებ-ცხელების სეზონი და ექიმი და წამლობაც სწორეთ ახლა არის საჭირო. ცუდი არ იქნებოდა, რომ ამ საქმისათვის საზოგადოებას თვითონ მიექცია ყურადღება.

ნ. ქ.

**სამტრედიის საბოქაულო.** დიდათ საყურადღებოა ახლა აქაური ისიც, რომ ხალხი ბევრ ადგას მსხვილ მემამულეთა წინააღმდეგ გაფიცვას აწარმოებს.

ს. კულაშის მთელი გლეხობა ერთპირათ გაფიცულია მსხვილ მემამულეთა წინააღმდეგ. დღეს, მაისში, სიმინდის თესვის დროს, მათი მიწები ხელუხლებელია და ერთი ღერი ჩალათ არაა წაქცეული, როგორც იტყვიან ხოლმე აქაური გლეხები. გლეხები აპირობენ წასვლას წელს საკუთარი და წვრილ მემამულეთა მიწებით. მართალია თვითეულ მოჯამაგირე ოჯახს ორი სამა ქცევა მიწის მეტი არ შეხვდება, რაიცა ურთიერთ შორის განაწილებიათ სამუშაოთ საკუთარი და წვრილ მემამულეთა მიწები, მარა დღემდე მედგრათ განაგრძობენ გაფიცვას. ამ შემთხვევაში შესანიშნავი თანხმობით დაერთსულობით იცავენ თავიანთ ინტერესებს კულაშის გლეხები.

მემამულეებს, როგორც ამბობენ გადაწყვეტილი აქვთ არ დაუთმონ გლეხებს შუა მაისამდე მაინც, მერე კი შეეცდებიან დათმობას და ხალხის გაცრუებას; მარა ვაი მათ იმედებს, რომ მაშინ ხალხი არა თუ თავს არ გააცრუებიებს, არამედ წინანდელზე მეტსაც მოითხოვს. დღევან[დელი] მომენტი, ალბათ, იმათ ვერც კი წარმ[ოუ]დგენიათ!

რ. მეხაძე.

## წერილი ფოთის მუშებს.

(ხმა გარდაცვლილისა).

მთელი რუსეთის პროლეტარიატმა აღმა[რთა] რევოლუციური დროშა. მან თავ-განწირ[ულ] ბრძოლით ამგზო ქვეყანას თავისი სიძლიე[რე] მით ამოუდგა გვერდში საერთაშორისო პრ[ოლე]ტარიატს, რომ მასთან ერთათ გასწიოს ... ლის უღელი სოციალიზმის დასამარებლათ. ... ლი რუსეთის ქალაქების ქუჩები მოიკირწყლა პრო[ლე]ტარიატის ძვლებით. არ არის არც ერთი ... თხე დიდ რუსეთის იმპერიაში, სადაც არ ... დანთხეული მათი უმანკო სისხლი. მათმა ... მა და მედგარმა იერიშმა სამუდამოთ შეარყ[ია] თვითმპყრობელობის კედლები და მ.ს ... ვებზე ააფრიალა თავისუფლების დროშა. ... სხლით გამოსტაცა ვერაგ მთავრობას თავის[უ]ფლების ნაგლეჯები (17 ოქტომბრის მანიფეს[ტი]) და მამაცათ შეუდგა პოლიტიკური ... შემეცნების გზას. დაიწყო თავისუფალი ... გები, გაისმა თავისუფალი სიტყვა; ... ვოლუციური ლამპარი, მან რენტგენის სხ[ივით] ბიეთი შეაშუქა ბნელ კუთხეებში. ჩასწვდა ... ვლესობის გულის სიღრმეს: აამოძრავა წ... ფეხა ბურჟუიკები, შიშის ზარი დასცა ბნე... ლებს ჯაშუშებს, ხულიგანებს, ერთის სი... რევოლუციის დაუძინებელ მტერთ. უკანასკნ[ელ]ნი ქუდმოხრილნი მორბოდენ მიტინგებზე ... შენდობა მოეთხოვათ და მომავალში ნდობ[ით] ემსახურებიათ პროლეტარიატის თვალში: მარჯვის რუსეთის დიდ რევოლუციას! ... ჯის სოციალდემოკრატიასო!"—ურცხვათ ... ხოდენ ჩვენთან ერთათ ოუდებიც.

უცებ რევოლუციამ ფრონტი იცვალა. ... ძრავდა ვერაგი მთავრობა. გამოვიდენ ბრძ[ოლის] ველზე განთქმული ვიტე-დურნოვო. საზღ[ვარ]გარეთ ბურჟუაზიის დახმარებით იშოვეს სესხი. ... მელი ხალხის ფულებით შესძგა ხულიგანთა ... მაs; დაიღეს კაზაკების ხმლები, დაიფერ... ფი და ზარბაზნები—„არ დაიშუროთ ვაზნ... ბიო"—შესძახა სისხლმ ტრეპოვის პირით დურნოვოს მთავრობით დაიფაცურა ბნელი ... ლები. დაიქ ქა თოფ-ზარბაზნებმა; ავარდა ... შხადები; გაჩნდა ცეცხლი—კვლავ აავსო ს... სადოები; ჰოიგონეს სამხედრო დიქტატურა; ... მოიღეს საველე სამსჯავროები; აღადგინე[ს] მოხრჩობა, დახვრეტა, გადასახლება და ... ვე ეს გამოუძიებლათ.—ეს იყო ბნელი რე[აქ]... მასი სუსხი მოედო მთელ რუსეთს და ... განაპირა ქვეყნებსაც; გამოჩნდენ რეაქციის ... რები: დუბასოვი, გრიაზნოვი, ალიხანოვ-ა[ვარ]სკი, ბაუერი, დობრჟანსკი, კრილოვი, ... ფეევი, ჩიქოვანი და ძმანი მათნი. დაიწ... და ელეტა დაუწყეს ბრუნდს და ... ლს. ქალაქები და სოფლები გადასწვ[ეს] ... თხრეს და ააწიოკეს მშვიდობიანი მც[ხოვრე]ბლები, გააუპატიურეს ქალები. პატარა ... დედ-მამის, ან ქმრის თვალ-წინ აწვალებდ[ენ]...

---

# ფელეტონი

## სამშობლოში

(თარგმანი რუსულიდან)

ლონე მიხდილი, ყავარჯნით ხელში,
ციხე არტურთან, მანჯურიაში,
იაპონელის ტყვიით დაჭრილი
ეშურებოდა სალდათი სახლში...
ეშურებოდა მშობელი დედის,
საყვარელი ძმის სანახავათა,
ლამაზი ცოლის, პატარა ბიჭის
საკოცნათ, გულში ჩასაკრავათა...
მივიდა სახლში... მაგრამ რას ხედავს,
იმის ქოხს სხვები შეხიზნებიან...
ვიღაც უცნობნი, გარეშე პირნი
ცოლ-შვილის ნაცვლათ ეგებებიან...
„თუ ღმერთი გწამდეთ, გამაგებინეთ...
აქ ხომ... ეს ქოხი ხომ ჩვენი არი?
სად არის დედა?.. სად არის ცოლი?..
ჩემი ბიჭიკო მითხარით სად არი"?..
—„შენი ცოლი... მაგრამ დაჯექ,
ალბათ გეწვის მეტათ წყლული...
შენი ცოლი... ერთ დღეს ყველა
დაჩაგრული, წამებული
შეიკრიბა, გადაწყვიტა
მიემართა მეფისთვისა,
რომ აეხსნა, შეეჩივლა
ხალხის ტანჯვა იმისთვისა.
გეემგზავრენ, ვით მამასთან,
მრავალ ტანჯულ-წამებულნი;
იმისგან მოელოდენ
შვებას უმწე-უბედურნი,
მაგრამ მუშებს პურის ნაცვლათ,
მიაგებეს გულში ტყვია...
თურმე ხალხის სიყვარული
ასე უნდა, ამას ქვია...
როგორც ბევრ სხვას, ისე შენ ცოლს
გაუჩეხეს ხმლითა თავი...
ასე იყო ჩემო ძმაო
საძწუხარო ეს ამბავი".
—„ჩემი შვილი, ჩემი ბიჭი?..
ის რა იქნა? სადღა არი"?..
—„ისიც, ოი საცოდავო,
აღარა გყავს, აღარ არი.
როცა ხალხი სასახლესთან
თურმე გაჩერებულიყო,
შენი პირმშო ბიჭუნია
ხეზე აცოცებულიყო.
დაენახა ამ დროს კაზაკს,
ამოეღო ის ნიშანში,
მოერტყმია იმ ურჯულოს
ბავშვისათვის ტყვია თავში".
—„დედა ჩემი"?..—„დედა შენიც
კაზაკებმა გაგილახეს,
სულ მათრახით ააჭრელეს
ძალით სული ამოართვეს".
—„აღარც ცოლი, აღარც შვილი,
აღარც დედა მშობელია!!.
მაშ ნუგეშით და მრჩენელათ
მე მხოლოდ ძმა დამრჩენია!..
მატროსია, გამბედავი,
გულადი და მამაცი...
მტერსაც კი მოეწონება
იმისთანა ვაჟკაცია".
—„აღარც ის გყავს, მხოლოდ იგი
არ მომკვდარა მტერთან ომში...
საცოდავმა, მან დალია
სული ამ ჩვენ სამშობლოში.
როს შავ ზღვაზე ერთი გემი
გამოეყო სხვა გემებსა
და უარ-ჰყო ის მთავრობა,
ვინც ტყავს აძრობს ჩვენსა ძმებსა,
მაშინ შენ ძმას გაუხვრიტეს
ტყვიით გულის ფიცარიო...
მოკვდა, მაგრამ სახელი კი
დარჩა დაუვიწყარიო".

ა. ჯ.

---

## სახელმწიფო სათათბირო და ჩვენი ტაქტიკა

სათათბირო შეიკრიბა. მისი უმეტესობა კადეტებისაგან შესდგება, იმ კადეტებისაგან, რომლებიც არჩევნებზე ხალხს პირდებოდენ მინისტრების და გუბერნატორების პასუხისგებაში მიცემას, სამხედრო და გაძლიერებული დაცვის წესების მოხსნას, ადამიანის და მოქალაქის უფლებათა გამოცხადებას და დამფუძნებელი კრების მოწვევას, და რომლებიც ეხლა ისე ნაბიჯს წინ არ გადადგამენ, რომ ხუთი ნაბიჯი უკან არ დაიხიონ. რაც დრო მიდის, მით უფრო მეტ გაუბედაობას და ზომიერებას იჩენენ კადეტები. ისინი ლაპარაკობენ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს, მთავრობა კი სულ ახალ და ახალ შეურაცყოფას აყენებს მათ. სათათბირო ლამის არის უბრალო სალაყბოთ გადაიქცეს. როგორი უნდა იყოს ამ დროს ჩვენი დამოკიდებულება სათათბიროსადმი?

მარა ჯერ გავარკვიოთ რა გვინდა ჩვენ?

ჩვენი სურვილია, რომ დუმა რევოლიუციის იარაღათ გადავაქციოთ. თვითონ სათათბირო ვერ იქნება და არც იქნება ხალხის სურვილის, მისი ნამდვილი ინტერესების გამომხატველი. ის არჩეულია ხალხის უმცირესობისაგან, განსაკუთრებით იმ ნაწილისაგან, რომელიც ნაკლებ ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ ენერგიას იჩენდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მაშასადამე, ის ვერ გადაჭრის იმ პოლიტიკურ და სოციალურ კითხვებს, რომლებიც დღეს ნათლათ და პირდაპირ არის დაყენებული ცხოვრებაში და რომლის გადაუჭრელობა ყოვლათ შეუძლებელია. ჩვენ არ ვთხოულობთ და არც მოვითხოვთ სათათბიროსაგან ეგრეთ წოდებულ „ორგანიულ მუშაობას". ჩვენ მოვითხოვთ მისგან მხოლოდ ხელი შეუწყოს მთელი ხალხისაგან არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელსაც შეეძლება ხალხის ინტერესების დაცვა. მარა ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ დუმა ოპოზიციაში ჩაუდგა მთავრობას და არ დაიწყებს მასთან შერიგებაზე ლაპარაკს.

რა არის იმისთვის საჭირო, რომ ეს ასე მოხდეს?

ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს დუმა თავის თავათ, რანაირი სოციალური ელემენტებია მასში?

დუმის უმრავლესობა კადეტებისაგან შესდგება—ვამბობთ ჩვენ.

ვინ არიან კადეტები? რომელი კლასის ინტერესებს წარმოადგენენ ისინი? კადეტები ბურჟუაზიული პარტიაა.

ბურჟუაზია ვერ ურიგდება თვითმპყრობელობას. თვითმპყრობელობის და მისი ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვს, რომ სახელმწიფოში თავისუფალი წესწყობილება დამყარდეს. მარა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ბურჟუაზია ნამდვილ ხალხის თავისუფლებას დაიცავს. მას სურს თავისუფალი წესწყობილება დამყარდეს, მარა ისეთი წესწყობილება, რომელიც პოლიტიკურ ბატონობას მას ჩაუგდებს ხელში. ამიტომ მისი მიზანია ბატონობა გამოგლიჯოს ხელიდან მეფის მთავრობას და თვითონ ჩაიგდოს ხელში. ის იბრძვის ბურჟუაზიული თავისუფლებისათვის.

ჩვენ კი გვინდა ხალხის თავისუფლება, ისეთი პოლიტიკური წესწყობილება, სადაც ხალხი იქნება გაბატონებული—ჩვენი უმაღლესი მიზანია ხალხის თვითმპყრობელობა (დემოკრატიული რესპუბლიკა) ბურჟუაზიის სურვილია კონსტიტუციონური მონარქია მეფე, ზედა პალატა (ბატონების პალატა) და ხალხის პარლამენტი. ამას მოითხოვს მისი კლასიური ინტერესები.

ხალხი მხოლოდ მაშინ გაბატონდება, როცა არ იქნება არც მეფე, არც ზედა პალატა—იქნება ერთი სახალხო პარლამენტი არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო კენჭის ყრით.

მაშასადამე, ბურჟუაზიას აქ ორივე ფრონტზე უხდება ბრძოლა: მეფის მთავრ[ობის] წინააღმდეგ კონსტიტუციონური მონარ[ქიის] შემოსაღებათ, ხალხის წინააღმდეგ ... საკუთარ თვითმპყრობელობის დასამყ[არებ]ლათ.

მარა ბურჟუაზიას არ შეუძლია ... საკუთარი ძალით სძლიოს მეფის თვით[მ]პყრობელობას. ამისთვის საჭიროა ... ძალა. ისტორია არასოდეს არ ყოფილ[ა] მხრით მის წინაშე ძუნწი. ის ყოველ[თვის] აწვდიდა მას იმ ნედლ მასალას, რომ[ლით]ზედაც ის ნაკლები შრომით აშენებდა ... ვის საკუთარ ბატონობას. ეს ნედლი მა[სალა] არის ხალხი, მისი ფიზიკური ძალა. ... როცა ბურჟუაზია ებრძვის თავის ... ძველი რეჟიმის წარმომადგენელთ, ის ... ლებულია მიმართოს ხალხის დახმარებ[ას], აამოძრაოს და გამოიწვიოს პოლიტ[იკურ] ცხოვრებაში.

მარა ხალხის დაბალი კლასების პოლიტი[კ]ურ ცხოვრებაში ჩარევა იწვევს მათში ... ვისი საკუთარი ინტერესებისათვის ბრძო[ლას]. ხალხი არსებულ წესწყობილების ... ბრძოლაში უფრო შორს მიდის, ვინემ ბურ[ჟ]უაზია.

კადეტები დღეს ებრძვიან თვითმპყრობე[ლ]ობას. ამ ბრძოლაში მათ უნდათ ... დონ პროლეტარიატის, გლეხკაცობის ... ქალაქის წვრილ ბურჟუაზიის მასას. ... ლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიათ მათ ... მოსტაცონ ხელიდან ძალა ძველ რეჟიმს.

რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედა[ნ]? ცხადია, რომ რაც უფრო ძლიერია რ[ე]ვოლიუციონური მოძრაობა, რაც უფრო შეერთებული და შეკავშირებული გამო[დის] პოლიტიკურ ასპარეზზე პროლეტარიატი, ... წვრილი ბურჟუაზია, მით უფრო ოპო[ზი]ციონური იქნება ბურჟუაზია. კადეტე[ბს] დუმას სურს დღეს თავისუფლება: სიტყ[ვის], წერის, კრების, პიროვნების ხელუხლე[ბლობა]...

ჯარისები—ასე წარმოიდგინეთ, დედაბრებსაც კი არ ინდობდენ მხეცები. მთავრობის შურის ძიება სამეგრელოს გადასცდა—დაითესა შხამი, დაიღვარა სისხლი. დიდა მთავრობის დღესასწაული და მასთან ერთათ ჩვენი გუშინდელი „ამხანაგების“ ჩვენს საერთო ფერხულში. შურის ძიებამ ამათაც აუშალა ქვენა გრძნობები, მოღალატური ხელ დელი. ცახე მიგნიდან გატედებათ სიქვეის და მართლაც მოსული ღვთის რისხვა სცემდნენ რას გახდებოდენ თუ შინაურებიც არ დაეხმარებოდენ. არ არის არც ერთი კუთხე ჩვენს ბოროტებულ კავკასიაში, სადაც შინაურ ხულიგნებს არ გამოეჩინოთ თავისი საქმენი საქმრობი. მაგრამ რაც ფოთში მოხდა ამისთანა, სამარცხვინო მე მგონი სხვაგან არა ყოფილა, მთავრობის რეაქცია ყოველგან იყო, მაგრამ თვითონ ხალხი კი ისე უცბათ და გადაბუნებით სხვაგან არ გარეაქციონერებულა, როგორც ფოთში. თითო-ოროლა იუდებთან ერთად მცხოვრებთა დიდი უმეტესობაც მოღალატე გახდა—მოწინავე ამხანაგებს თავი დაუნებით უბრალო „რიადვოთ“ შემასაც კი არ შეეძლო ქუჩაში გავლა (აბა სახლში ვ ნ შეუშვებდა*) თითით უჩვენებდენ: სოციალდემოკრატია, ჩვენი დამღუპველია, ჭკა მაგასო. ხშირათ თითონაც კი იჭერდენ (ვაი სირცხვილო!) და ისე მიჰყავდათ პოლიციაში. უეჭველია ამათ საქმართ საქმეს ისტორია არ დაივიწყებს. მაგრამ ჩვენი მტერი მარტო რეაქციონერები არ არიან, ხელს არც ზოგიერთი „რევოლიუციონური“ პარტიები გვაძლევენ, თუ დრო გვიშოვეს. ჩვენ არა ერთხელ გაგვირკვევია ჩვენებური „სოციალისტ“(?) ფედერალისტების ფიზიონომია, მათი ჩვეობრივი ხელადიდება, ჩვენ კარგათ ვიცოდით მათი „სოციალისტობა“ ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული, მათი ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიდრეკილება, მათი ხრიკები და თინბაზობა (იძულ თუ გნებავთ დღევანდელი არჩევნები: ისინი ბიუროკრატიასთან დაკავშირებასაც კი არ ერიდებიან ჩვენს წინააღმდეგ—ნეტავი ვიცოდეთ ვის ებრძვიან ეს ვაჟბატონები!? ახლაც დაიჩემებენ მუშათა ინტერესების დამცველი ვართო?! (ვაი სირცხვილო, სადა ხარ!?), მაგრამ ამდენი გულუბრყვილონი კი ვიყავით, რომ მათთვის პროვოკატორობა არ შეგვეწამებია. დადგა რეაქცია თუ არა, ფოთელმა ფედერალისტებმაც დაილესეს კბილები სოციალდემოკრატიაზე. მოიყვან უცნაურ განგაშს, დაიწყეს ვიზიტები ოჯახებში (აბა აშკარათ როდის გაუბედნიათ რამე) და გარეაქციონერებულ ხალხთან ქადაგება: „სოციალდემოკრატებმა დაგღუპეს თქვენ, ფულები წაგართვეს, პროპაგანდისტებმა ჩაიხრჩალეს და საზღვარ გარეთ გაუსვენ. თქვენი ფულებით ქეიფობენ, თქვენ კი ბრძოლის ველზე მიგატოვეს. თქვენ განადგურებენ, ისინი კი განცხრომაში არიან. ეხლა მაინც ისწავლეთ ჭკუას, მათ სიტყვებს არ აჰყვებით და ჩვენს ღინჯ სოც.-ფედერალისტების პარტიას შეაფარებთ თავსო“; ხომ ხედავთ რა მარგალიტები გამოდის ჩვენს ფედერალისტებს პირიდან, დაილოცა ბაგენი მათი. ამნაირი ბრძოლის საშუალება ჩვენ მათთვის დაგვითმია, თვით ფაქტი კი არ უნდა დავივიწყოთ. გვახსოვდეს რანაირი ხრიკებით გვებრძვიან ჩვენ ისინი. რანაირათ სარგებლობენ რეაქციით ჩვენს წინააღმდეგ. დღეს რუსეთში რეაქცია მისუსტებულია. ის, რაც ჩვენს მტრებს შუღლიდა ქვისათ, დაანგრა. რევოლიუციონერმა ძალებმა ისევ წამოყვეს თავი. რუსეთის ქალაქებში გაფიცვები, დემონსტრაციები და მიტინგები იმართება. მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთი სამხედრო დიქტატურაში არის გახვეული, სატახტო ქალაქის—პეტერბურგის მუშები წითელი დროშით ხელში გმირულათ გამოდიან და „სახელმწიფო სათათბიროს“ ემუქრებიან: თუ მრავალ ტანჯული ხალხის სურვილს არ განახორციელებთ, გაგანადგურებთო. ამნაირათ ხალხი მიდის ისევ არჩეული რევოლიუციური გზით. მთავრობას უნდოდა სათათბიროთი მოეტყუებინა ხალხი, მაგრამ ამას ვეღარ ახერხებს, ვინაიდან რევოლიუციური ძალები საკმაოთ არის მომწიფებული.

ამ ნაირათ რეაქციამ ერთი შეხედვით თითქო ერთბაშათ გაანადგურა რევოლიუცია, ნამდვილათ კი უფრო გააღვივა და აადორძინა ის. მან ჩამოაყალიბა ჩვენი პარტიაც, ახადა ფარდა საიდუმლოებას და ხელით გამოააშკარავა ჩვენი გუშინდელი „ამხანაგების“ იუდა გამცემლების ფიზიონომია. რეაქცია დიდი თვალსაჩინო გაკვეთილია მებრძოლი პროლეტარიატისთვის, რომელიც ფართოთ ისარგებლებს ამ გაკვეთილით—ნუ ჩამორჩებით ნურც თქვენ თქვენს ამხანაგებს, ფოთის მუშებო! გაარჩიეთ მტრები მოყვრისაგან; გააფართოვეთ თქვენი კლასობრივი თვითცნობიერება. ნუ მოსტყუვდებით ტკბილი სიტყვებით. შეიცნეთ ბურჟუაზიული პარტიების თვალთმაქცობა! იცანით, რომ ვინც თქვენთან არ არის ბრძოლაში, ის თქვენი წინააღმდეგია. სოციალდემოკრატია კი თქვენი შეგნებული ამხანაგებისაგან შესდგება, ის მუდამ თქვენთან იყო და არის. ის არის ერთად ერთი სოციალისტური და რევოლიუციური ნამდვილი მუშათა ინტერესების დამცველი პარტია. მან პირველმა აღმართა რევოლიუციური დროშა. დღესაც ის ეპატრონება და მომავალშიაც ის დაასრულებს რევოლიუციას.—კარგათ დაიხსომეთ ყოველივე ეს და ერთხელ კიდევ მრისხანეთ შესძახეთ: შურის ძიება ჩვენს მტრებს!

ამხანაგი ვინ—ლანი.

*) ბ-ნმა ნიკოლაძემ პირველ კრებაზე, რომელიც მოხდა უპრავაში რეაქციის დროს დუქნების დაწვის შემდეგ, დაახლოვებით შემდეგი უთხრა ხალხს: მე თავის დროზე გითხარით, რომ ძალით მთავრობასთან ვერაფერს გახდებოდით, არ დამიჯერეთ სხვას აჰყევით და ეხლა გწვავენ-განადგურებენ. მე ვერას გიშველი თუ მთავრობის მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებთ. პროპაგანდისტებსაც ნუ შეუშვებთ სახლში, თორემ დაგწვავენო“ და სხვ.

## მუშათა შორის

**ბათუმის მოსამსახურეთა მიმართ.** რეაქციის გაძლიერებამ ზოგიერთ ჩვენ ხაზეინებს ზურგი გაუმაგრა და მათაც მიჰყვეს ხელი მოსამსახურეთა ექსპლოატაციას. მაგალითისათვის დავასახელებ სასტუმრო „პეტერბურგი“-ს ხაზეინს ბ-ნ ათანასე თავდიშვილს, რომელმაც დიდი სახელი გაითქვა მუშათა მოპოვებულ უფლებების ფეხ-ქვეშ გათელვაში. აი როგორ ექცევა მოსამსახურეებს ეს ვაჟბატონი: ჯამაგირი ათ მანეთიდან ხუთ მანეთამდის შეამცირა, და ამასთანავე თუ ვინმე სტუმართაგანი ნისიას წაიღებს, ეს მოსამსახურეებმა უნდა უზღონ ხაზეინს, და თუ ვინმე მოსამსახურეთაგანმა ხმა ამოიღო, ვაი მისი ბრალი, ქუჩაში ამოაყოფინებს თავს. ეს კიდევ არაფერი ბ-ნი თავდიშვილი გაზეთის წაკითხვის ნებასაც არ აძლევს თავის მოსამსახურეებს. ერთ მათგანს ბ-ნმა თავდიშვილმა ხელიდან გამოგლიჯა გაზეთი ლუკმა-ლუკმათ აქცია, და ასეთი უშვერი სიტყვებით მიმართა: „თუ მეორეჯერ გნახე, ფეხს ამოგკრავ კოჟაბ აქედანო.

ბ-ნ თავდიშვილს არც კომერციული კლუბის წევრები ჩამორჩებიან. ამას წინათ კომერციული კლუბის წევრებს გაუმართავთ თათბირი, იმას შესახებ, თუ როგორ უნდა გააგრძელონ სამუშაო დღე და როგორ შეამცირონ მოსამსახურეთა ხელ-ფასი. ეს ის ვაჟბატონები ბრძანდებიან, რომლებმაც წინა დღეებში თავიანთ გაზეთის ფურცლებზე, ყველას ყურები გამოუჭედეს, რომ ჩვენ კადეტები მუშათა ინტერესების დამცველები ვართო. მკითხველი ნათლათ დაინახავს, თუ როგორ იცავენ აქაური „კადეტები“ მუშათა ინტერესებს.

მოსამსახურე.

## ბიბლიოგრაფია

„სამეცნიერო სახალხო ბიბლიოთეკა“
„რა უნდათ სოციალდემოკრატებს?“
თარგმანი ს. ჯუღელისა. ფასი 5 კ.

როგორც მახსოვს, 9 თუ 10 წლის წინეთ, პირველათ ამხანაგობამ „ახალი მკითხველი“ ქართულ ენაზე მეცნიერული წიგნების გამოცემა დაიწყო. სულ რაღაც ორი თუ სამი ბროშიურის გამოცემა შესძლო და ეს კეთილი აზრებით გამსჭვალული ამხანაგობა საპნის ბუშტივით გაქრა. ამხანაგობა მოისპო, მეცნიერული წიგნების ქართულ ენაზე გამოცემა შეწყდა, მაგრამ წიგნების კითხვის სურვილი დღითი დღე იზრდებოდა და ყოველი მხრიდან იაფ-ფასიან მეცნიერულ წიგნებს ითხოვდენ. თუ დღემდის ჩვენში წიგნებს ძლიერ მცირე გასავალი ქონდა და გამომცემლების მაღაზიის თაროებზე ასობით და ათასობით ელაგა, დღეს კი სულ წინააღმდეგს ვამჩნევთ: ერთი და იგივე წიგნები ორ ადგილზე რამდენიმე ათასობით იბეჭდება; ერთ და იმავე წიგნს სამი და ოთხი თარგმნის; ერთ და იმავე წიგნს სხვა და სხვა სათაურებით უშობენ. იცის, თუ არ იცის თარგმნა, შეუძლია თუ არ შეუძლია ამა თუ იმ წიგნის ღირსება დააფასოს მაინც იმ აუარებელ ახალ ბროშურებს ხელს კიდებენ, თავისებურათ გადაუკულმართებულათ თარგმნიან და ქართველ მკითხველებს გონების გასავითარებლათ ფას დაკლებით, თუ ფას აწევით, აწვდიან.

ზემო დასახელებული ლიბკნეხტის წიგნი „ჩვენი მიზანი“, რომლის სათაური ბ. ქელიძეს გადაუკეთებია (ალბათ ცენზორის თვალის ასახვევათ) ქართულ ენაზე უფრო კარგი ნათარგმნი თფილისში წელს გამოიცა. (თფილისის გამოცემა შეიცავს 95 გვ.) ამასთან ქელიძეს რაღაც მოსაზრებით წიგნაკის ის საუკეთესო ადგილები, სადაც სოც. დემოკრატიული პროგრამაა განმარტებული გამოუტოვებია, რითაც წიგნები გაუნახევრებია და ასე მიუწოდებია ჩვენი მკითხველებისათვის. (ქელიძის თარგმანი 42 გვერდს შეიცავს) სხვა მრავალ ნაკლულევანობასთან ბ. ქელიძის ნათარგმნ „ჩვენ მიზანს“ ენის მხრითაც დიდი ნაკლულევანება აქვს.

საყურადღებოა, რომ შემდეგისთვის ჩვენი მთარგმნელები და გამომცემლები უფრო ყურადღებით მოეპყრონ მეცნიერულ წიგნების თარგმნას, ვინაიდგან ჩვენს მკითხველების უმრავლესობას შეადგენენ მუშები, რომლებსაც არ შეუძლიათ დედანს შეადარონ ესა თუ ის მეცნიერული წიგნი.

ზ.

## წერილი რედაქციის მიმართ

I

გაზეთი „ლამპარის“ მე-8 ნომერში მოთავსებულია კორესპოდენცია ცხინვალიდან ბ-ნი ხვედასი. ის კიცხავს იაგორა პარიკმახერის და სხვა ჩემთვის უცნობი პირების მოქმედებას. იაგორა პარიკმახერი მე ვარ მთელს გორის მაზრაში, მაგრამ ჩემს დღეში ცხინვალში არ მიმუშავია და მით უმეტეს ისეთ საზიზღარ საქმეებში არ გავრეულვარ. შეიძლება ბ-ნი ხვედა სცდება და იაგორა დალაქის ნაცვლათ იაგორა პარიკმახერს კიცხავს. ამისათვის უმორჩილესათ ვთხოვ აღნიშნულ კორესპოდენტს, გვაცნობოს გვარი იმ იაგორა პარიკმახერისა, რომელიც ასეთ სისაძაგლეს ჩადის და ამით ამხადოს მე მოხვეცებულს ასეთი შეურაცხყოფა.

იაგორ პაპლიაშვილი.

II

მოგმართავთ ამ წერილით, რათა ავიცილო თავიდან შეურაცყოფა, რომელიც მე მომაყენა ბ. ჰ. ირეთელმა თქვენი გაზეთ ლამპრის (№17) საშუალებით ფელეტონში „არჩევნების წინ“. რომ აგიტაციას ადგილი არ ქონდეს, გიგზავნით ამ წერილს არჩევნების გათავების შემდეგ. განგებ არ მესმის ჩემი პიროვნება რათ იზიდავს ზოგიერთ პირთ და მეტადრე იმისთანებს, ვისაც არ ეთაკილება არავითარი საშუალება ჩემ წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ დროს როცა მე შედარებით იშვიათად გამოვდივარ საზოგადო ასპარეზზე და თუ გამოვდივარ, ყველგან და ყოველთვის ჩემი სახელით და არა რომელიმე პარტიისა? მახსოვს მაგალითად რომ მე 31 დეკემბერს 1904 წ. არტისტიულ საზოგადოებაში ბანკეტზე ვიცავდი სიტყვის თავისუფლებას და 1 აპრილს 1905 წ. სათავად—აზნაურო ყრილობაში წარმოვსთქვი სიტყვა საქართველოს ავტონომიის საჭიროების შესახებ. მივიღე მონაწილეობა დეპუტაციაში ნამესნიკთან, რათა აგვეცილებინა გურიის დარბევა-აწიოკება. ეს არის ჩემი დიახაც მეტად მცირე, მხოლოდ მგონი, არა უზნეო საზოგადო მოღვაწეობა; მაშ რათ არის და საიდგან ამოდენი შურის ძიება? ამას წინად როგორც მოგეხსენებათ თავად-აზნაურთაგან ვიყავ არჩეული „ამომრჩევლად“! არჩევის უმალ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციამ მიიღო რამდენიმე უსახელო წერილი, რომელთა ავტორები არწმუნებდენ რედაქციას—ზოგი—რომ მე „ანარქისტი“ ვარ, ზოგი ვითომ ვიყო „რეტროგრადი“, ეხლაც იმ გარემოებამ, რომ მე დამასახელეს ამომრჩევლად ქ. თფილისიდან მისცა საბუთი ზემოხსენებულ ფელეტონის დამწერს დამასხას თავზე ლაფი და შეურაცხმყოს ვითა ადამიანი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ვარ რა ღრმად დარწმუნებული, რომ არც თქვენ, ბ-ნო რედაქტორო, და არც რედაქციას წილი არ გიდევთ ამ ცილის წამებაში, ვთხოვ ბ. ჰ. ირეთელს აიხადოს ნიღაბი და საჯაროთ დაასაბუთოს თავის ნაწერი.

ექიმი მიხეილ გედევანიშვილი.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

12 მაისი.

**მოსკოვი.** ლოსონის კუნძულზე ორი საიდუმლო აგენტის დახვრეტის შესახებ გამოირკვა შემდეგი: აგენტები თვალყურს ადევნებდენ საურთიერთო ბანკის გამძარცველებს და ერთმა მიტინგზე დამსწრემ იცნო ისინი. მიტინგის გათავებამდე ისინი ხეზე მიაკრეს, რომ მათთვის ხელი არ შეეშალა. მიტინგის გათავების შემდეგ, როცა ხალხი დაიშალა იქ დარჩენ 71 კაცი და აგენტები დასაჯეს, ფედოროვი იქვე მოკლეს და მეორე ოთხგან მძიმეთ დასჭრეს. ეჭვით ორი კაცი დაიჭირეს.

**მარიუპოლი.** გუშინ ტობოლის გუბერნიაში 17 პოლიტიკური ტუსაღი გაგზავნეს. სადგურზე მრავალი ხალხი შეიკრიბა და რევოლიუციონურ სიმღერებით გააცილა ტუსაღები. ჩქარა კაზაკები გაჩნდენ და ხალხი გაიფანტა.

**ნოვგოროდი.** გაზეთ „რუსკოე სლოვო“-ს ცნობა, ვითომ დამიანსკის მაზრაში აგრარულ მოძრაობის ჩაქრობის დროს სალდათებმა უარი სთქვეს სროლაზე, ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. დამიანსკის მაზრაში აგრარული მოძრაობა არც კი ყოფილა. ნოვგოროდის გუბერნატორი გრაფი ბედემი.

**პეტერბურგი.** ოფიციალურათ. უმაღლესი უქაზი სენატისადმი 26 აპრილიდან სოფლათ პაგრომების და ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობის მიმღებთა ქონებრივ პასუხისგების შესახებ. 1905 წლის 10 აპრილის უქაზით შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა შეემუშავებია იმ წესების პროექტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა უქაზის მეორე მუხლში ნაჩვენებ ზომების განხორციელება. შემუშავებული პროექტი მინისტრისაგან განსახილველათ წარედგინა სახელმწიფო საბჭოს. სახელმწიფო საბჭოს ამ პროექტის შესახებ დასკვნის განხილვის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა გარკვევით აღენიშნათ, რომ ისინი, ვინც 1905 წლის 10 აპრილის უქაზის ძალით პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სოფლათ არეულობაში მონაწილეობის მიღებისთვის, როცა სხვის მამულს ანადგურებდენ და იტაცებდენ, ქონებრივათ პასუხის მგებელნი არიან დაზარალებულთა წინაშე და დაზარალებულთ უფლება ეძლევათ სასამართლოს წესით აწარმოონ საქმე და შეუძლიათ სამაზრო კომისიის დადგენილებათა პირი მიიღონ, უმაღლეს უქაზის 10 აპრ. 1905 წლის პირველ მუხლის ძალით. დამნაშავენი ქონებრივათ პასუხს აგებენ, როგორც მოძრავი ისე უძრავი ქონებით.

13 აპრილი.

**ოდესა.** ნავთსადგურში გემების კამანდა გაიფიცა. მოთხოვნილებები ეკონომიურია. გაფიცულია რამდენიმე ათასი კაცი. გემები დანიშნულ დროზე ვეღარ გამოდიან. ნავთსადგურს ჯარი იცავს. სამხედრო სასამართლომ ელექტრო-ტეხნიკურ სასწავლებლის, მოწაფეს, რომელსაც კორელიცკიზე თავდასხმას აბრალებდენ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

**ტულა.** თავის ოთახში რევოლვერით მძიმეთ დასჭრეს ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი რადეცკი. რადეცკი ჩქარა გარდაიცვალა. მკვლელი მიიმალა.

**კიევი.** ვლადიმირის ქუჩაზე თავის სახლში მოკლეს სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო ექიმი ლაზარენკო. ბოროტ განმზრახველებმა ვერცხლის ნივთები გაიტაცეს და გაიქცენ. რკინის კასა, სადაც ფულები იყო ხელუხლებელი დარჩა.

**პეტერბურგი.** როგორც შეკრებილ ცნობებიდან ჩანს 1905 წლის ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებიდან 1906 წლის აპრილის ბოლომდინ ადმინისტრატიულის წესით სულ 6825 კაცი გადაუსახლებიათ. ამათში განსაკუთრებულ სათათბიროს დადგენილებით 3446 კაცი გადაუსახლებიათ. სატუსაღოებში 5 მაისს სახელმწიფო დაცვის დებულების მე-21 და 29 მუხლების ძალით სულ 2627 კაცი იჯდა. ამავე რიცხვში გამოძიების ქვეშ სულ 3351 კაცი იყო სატუსაღოებში. 1 მაისს ვოლოგდაში მომხდარ არეულობის შესახებ საქმის გამოძიება განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს გადაეცა. გარდა ამისა ადგილობრივ მთავრობის მოქმედების შესახებ ადმინისტრატიული გამოძიებლათ დანიშნული ამ საქმის შესახებ ვოლოგდის გუბერნატორი პეტერბურგში არ წასულა და არც არავის გამოუწვევია.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. კრება დღის 2 საათსა და 30 წუთზე გაიხსნა. გარდა სამხედრო და საზღვაო მინისტრებისა ყველანი დაესწრენ. კრების გახსნისას მინისტრმა გორემიკინმა სიტყვა ითხოვა და წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია, რომელიც „პრავიტელსტვენი ვესტნიკის“ დამატებაში იყო დაბეჭდილი. დამატებები დეპუტატებს დაურიგეს. სიტყვა ნაბოკოვს მიეცა, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ მთელი სათათბირო სრულიად უიმედობის გრძნობამ შეიპყრო. ვიტეს კაბინეტის გადადგომა თითქო ახალი სამინისტროს კონსტიტუციის გზაზე დადგომის სურვილით იყო გამოწვეული, მაგრამ როგორც ახლა გამოირკვა ეს ტყუილი ყოფილა. უმთავრესი კითხვა, რომელიც მთელი რუსეთის ხალხს აღელვებს უარით გადასწყდა. მთავრობის დეკლარაციაში ორატორი ხედავს მთელი ხალხის პირდაპირ გამოწვევას, არა სათათბიროს შეოხებით, არამედ მთავრობის მიერ სრულიად უმნიშვნელო დათმობებით (ცხარე ტაშის ცემა) როდიჩევი, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს დეკლარაციას და ამბობს, რომ ძველი პოლიტიკა, პოლიტიკა ძალმომრეობისა, სამხედრო წესებისა და გაძლიერებული დაცვისა ისევ ძალაშია; ძალმომრეობას, ძალმომრეობითვე სცემენ პასუხს და ამით მშვიდობიანობას (?) ამყარებენ ქვეყანაში. მთავრობას სურს სავსებით შეინახოს ძველი წესები, რომლითაც ის მთელ ხალხს ორ ნაწილათ ყოფს, კეთილსაიმედოები და არა კეთილ საიმედოები. გლეხების შესახებ ძველი მთავრობა ვითომ მზრუნველობას იჩენს, მაგრამ ნამდვილათ კი მხოლოდ სიტყვით, რაც წინანდელ მათ მდგომარეობას სრულიად არ სცვლის. უფლებრივი საკითხები უნდა ექვემდებარებოდეს ხალხის წარმომადგენლებს და არა აღმასრულებელ მთავრობას, რომელიც საკანონმდებლო მთავრობას უნდა დაემორჩილოს. თუმცა კანონებში მინისტრების პასუხის მგებლობის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ სათათბირო ფიქრობდა, რომ მთავრობას ბოლოს მაინც ამხილა სინდისმა მისი აუცილებლობა, ეხლა კი ორატორი დარწმუნებულია, რომ მთავრობას ამის შესახებ არც კი უფიქრია. თუ კი ჩვენ მინისტრებს ცოტაოდენი სინდისი აქვთ—სთქვა ორატორმა თვითონ უნდა

ბა, მინისტრების პასუხისმგებლობა ხალხის წარმომადგენლების წინაშე და სხვა. რასაკვირველია მთავრობა ნებით არ აიღებს ხელს თავის უფლებებზე. დუმის მოთხოვნილებას ის თავის ტლანქ ფიზიკურ ძალას დაუყენებს წინ. რაც არ უნდა ეცადონ დღეს კადეტებმა მთავრობასთან მშვიდობიანათ გაიწყონ საქმე, კონფლიქტი მაინც აუცილებელია. ამ კონფლიქტის დროს დუმას დარჩენია ერთად-ერთი ბუნებრივი გზა: მთავრობის ძალას, ძალა დაახვედროს წინ. ხოლო ძალა რევოლიუციონურ ხალხშია. ბოლოს მან მაინც მთავრობასთან ვაჭრობას თავი უნდა დაანებოს და ამ ხალხს მიმართოს დახმარებისთვის.

მარა კონფლიქტი შეიძლება ისეთ დროს და ისეთ პირობებში მოხდეს, რომ მას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ დარჩეს. ამისათვის საჭიროა გარედან მასიური ძალდატანება. თუ ხალხმა ყურადღება არ მიაქცია დუმას, თავიდანვე გულგრილათ დაუწყო ცქერა მის არსებობას, დუმა ვერ იქნება რევოლიუციის იარაღი. ზოგიერთ გულუბრყვილო ადამიანებს გონიათ, რომ ჩვენი ასეთი მოქმედება ხალხს დააშორებს რევოლიუციის გზას, ხელს შეუწყობს მასში ცრუ იმედების განმტკიცებას.

ეს ყალბი შეხედულება ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენი ამხანაგების ერთ ნაწილში ძლიერ გავრცელებულია.

ჩვენ ვამბობთ, დუმა ვერ დააკმაყოფილებს ხალხს. მარა ფაქტი დუმის არსებობა აღვიძებს და გამოჰყავს პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძალები. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ ფაქტი მაინც ფაქტათ რჩება. ხალხი დაინტერესებულია დღეს დუმით. ის დღეს ცენტრია ხალხის პოლიტიკურ ყურადღებისა. ის აღვიძებს ხალხში პოლიტიკურ აზროვნებას და გამოჰყავს პასსიურ მდგომარეობიდან. ამ მხრით მას დიდი რევოლიუციონური მნიშვნელობა აქვს.

ამას კარგათ ხედავს მეფის მთავრობა და როგორც გუშინდელმა ტელეგრამებმა გვაუწყეს სასახლის კამარილა უკვე ემზადება დუმის დასაფრთხობათ. შეგნებული პროლეტარიატის ლოზუნგი ვერ იქნება დღეს „ძირს სათათბირო“. არა, დღეს ჩვენი ტაქტიკა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ კონფლიქტი დუმასა და მთავრობის შორის გავამწვავოთ, მათ შორის შეთანხმება შეუძლებლათ გავხადოთ, დუმა რევოლიუციონურმა ხალხმა პროლეტარიატის მეთაურობით თავის კანტროლის ქვეშ დააყენოს, ყოველ მის ნაბიჯს უთვალთვალოს და ამ რიგათ თავისი რევოლიუცინური სული შთაბეროს მას. ყოველი წარმომადგენლობითი დაწესებულება, და მით უფრო ისეთი, როგორიც არის დუმა, ხალხზე უფრო რეაქციონურია. იქ, სადაც საჭიროა პირდაპირობა, გამბედაობა და სიჩქარე—ამის ინიციატივა ხალხიდან უნდა გამომდინარეობდეს: თვით დიდებული კონვენტი რევოლიუციონური ხალხის სურვილზე მოქმედებდა, ყველა მისგან მიღებული რადიკალური ზომები, ხალხის ძალდატანებით იყო გამოწვეული.

მარა როგორ უნდა მოეწყოს ეს ძალდატანება? როგორი ტაქტიკა უნდა ვაწარმოვოთ ჩვენ ამისთვის? საჭიროა დუმის გარშემო პარტიამ დაატრიალოს ფართე პოლიტიკური აგიტაცია. საჭიროა ყოველ კითხვას, რომელიც კი დაიდგება სათათბიროში მან თავისი პასუხი გასცეს, ფართე მასსაში გადაიტანოს, რევოლიუციონურ ხალხსა და დუმის შორის უხილავი ძაფები გააბას. ამ ნიადაგზე შეიძლება საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაცია. საჭიროა ადგილობრივ რევოლიუციონერმა მასსამ შექმნას რევოლიუციონური თვითმართველობის ორგანოები; საჭიროა დღიურ კითხვათ დაისვას ქალაქის საბჭოების და საერობო დაწესებულებათა რეორგანიზაცია. თუ ოდესმე მნიშვნელობა ქონდა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საჭიროებას, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება დღეს მათ საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციის საქმეში.

რუსეთის რევოლიუცია ახალ ფაზისში გადადის. დეკემბრის აჯანყება დამარცხდა იმისთვის, რომ პროლეტარიატი განმარტოებული იდგა ბრძოლის ველზე. სხვა კლასები ან პირდაპირ წინააღმდეგი იყო მისი, ან და პასსიურ როლს თამაშობდენ. ეხლა სათათბიროს არსებობით მოძრაობაში მოდის გლეხკაცობა, რომელზედაც უმთავრესათ დამოკიდებულია რუსეთის რევოლიუციის ბედ-იღბალი. მისი ინტერესები მოითხოვს, რომ ძველ წეს-წყობილებასთან ბრძოლაში მან შეუერთდეს პროლეტარიატს და ამ რიგათ ხელი-ხელ ჩაკიდებული ორივემ ერთათ გასწიონ დემოკრატიულ რესპუბლიკისაკენ. სოციალდემოკრატიამ ფართეთ უნდა ისარგებლოს დღევანდელი მდგომარეობით. მთელი მისი აზრი, მთელი მისი მოქმედება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ორგანიზაციულათ შეაკავშიროს პროლეტარიატი და დაუპირდაპიროს ის თვითპყრობელობას და ბურჟუაზიას, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა. ასეთი ჩვენი მუშაობა გამოიწვევს ცხოვრებაში სხვა საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციასაც.

ასეთი უნდა იყოს ჩვენი დუმის კომპანია. შეერთებული პროლეტარიატის გამოყვანა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე, მისი დაპირდაპირება არსებულ რეჟიმის და ბურჟუაზიული კლასების წინააღმდეგ და ამ გზით გაღრმავება და გაფართოვება არსებული პოლიტიკური და სოციალურ კონფლიქტისა—აი როგორი უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკა.

ამხანაგი.

მიხვდენ, რომ მათი წასვლა საჭიროა, საჭიროა მათ ადგილი დაუთმონ განახლებულ მთავრობას.

**პეტერბურგი.** სახელმწ. სათათბირო. დღეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სახელმწიფო სათათბიროში შემდეგი განაცხადა: განიხილა რა მინისტრთა საბჭომ სათათბიროს მიერ უმაღლეს წარსადგენათ სიტყვა-სიტყვის ადრეს-პასუხი, მიიღო მხედველობაში, რომ ადრესში მოხსენებული წინადადებები, ზოგი კანონ-მდებლობის და ზოგიც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის წესებს ეხება. მთავრობამ, განიხილა რა სათათბიროს მიერ შემუშავებული მოსაზრებანი, მზათ არის დახმარება გაუწიოს სათათბიროს იმ კითხვების გადაწყვეტაში, რომლებიც მათ საკანონმდებლო უფლებებს ექვემდებარება. ისეთ დახმარებას, რომელიც მთავრობის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, აუხსნას სახელმწ. სათათბიროს ამ კითხვების შესახებ თავის შეხედულება და დაიცვას თავისი წინადადება, ის გაუწევს დახმარებას საარჩევნო უფლების შეცვლის შესახებ კითხვის გადაწყვეტაშიც, თუმცა თავის მხრივ ის არ სცნობს საჭიროთ ეს კითხვა დაუყონებლივ განხილულ იქნას, რადგან სახელმწიფო სათათბირო ახლა შეუდგა საკანონმდებლო მოქმედებას და არც კი გამორკვეულა საჭიროა თუ არა მისი შემუშავების წესების შეცვლა. დიდის ყურადღებით ექცევა სამინისტრო სათათბიროს მიერ აღძრულ კითხვებს. დაუყონებლივ დაკმაყოფილებულ იქნეს სოფლის მცხოვრებთა აუცილებელი საჭიროებანი და გამოიცეს კანონი გლეხების სხვა წოდებებთან უფლებრივ გათანასწორების შესახებ; დაკმაყოფილებულ იქნას მუშათა კლასის საჭიროებანი, შემუშავებულ იქნას კანონი საყოველთაო პირველ დაწყებითი განათლების შესახებ, შემოღებულ იქნას შემოსავლის გადასახადი და გადაკეთებულ იქნას ადგილობრივი თვითმართველობები, რომლის დროსაც სახეში უნდა მიიღონ განაპირა ქვეყნების განსაკუთრებული პირობები. ამასთანავე მთავრობა არა მცირედ მნიშვნელობას აძლევს იმ კანონების შემუშავებას, რომელიც ეხება თავისუფლებას სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების და პიროვნების ხელშეუხებლობას, რომლების შემუშავება აუცილებლათ საჭიროა. ამასთან მთავრობა საჭიროთ სცნობს ამ კანონების შემუშავების დროს, მთავრობა აღჭურვილი იყოს ყოველივე საშუალებებით, რომ კანონების ძალით შეეძლოს თავიდან აიცილოს და ყოველივე წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველივე ბოროტმოქმედებას, რომელიც ბოძებულ თავისუფლების ბოროტი სარგებლობით გამოწვეული იქნება და სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მეტათ მავნებელი. რაც შეეხება გლეხთა მიწების საკითხს, მთავრობა უარს ყოფს სათათბიროს წინადადებას გადაეცეს გლეხებს საკაბინეტო, საუფლისწულო და სამონასტრო საეკლესიო მიწები და აგრეთვე კერძო მემამულეების ძალათ ჩამორთმეული მიწები, მინისტრთა საბჭო გადაჭრით თავის თავს განაცხადოს, რომ მთავრობა თავის დღეში არ იზამს, რომ ერთის მანიჭის მიწაზე უფლება და მეორეებს წაართვას, მთავრობას არ შეუძლია საზოგადოთ უარყოს მიწაზე კერძო საკუთრების უფლება, ისე, როგორც სხვა ყველა ქონებაზე. კერძო საკუთრება მთელ ქვეყანაზე და მოქალაქობრივ განვითარების ყოველ საფეხურზე, ხალხის კეთილდღეობას და საზოგადოებრივ განვითარების ქვაკუთხედი ყოფილა და არის, მაზე დაფუძნებულია მთელი სახელმწიფო და მისი უარყოფა სახელმწიფოს გაქრობა იქნება. ამ საშუალების ცხოვრებაში გატარება არც ისე საჭიროა, უკეთუ მთავრობა ყოველივე კანონიერ საშუალებას იხმარს, რაც მის ხელშია და რაც დღემდი ხმარებაში არ ყოფილა. მიწის საკითხი შეიძლება ისე გადაწყდეს, რომ სახელმწიფოს საფუძველი ძირიანათ არ შეირყეს. დანარჩენი წინადადებები ეხება მინისტრების პასუხისმგებლობას ხალხის წარმომადგენლების წინაშე, სახელმწიფო საბჭოს გაუქმებას და სათათბიროს კანონმდებლობის უფლების გაფართოებას. ამ საკითხის განხილვა მინისტრთა საბჭოს არ შეუძლია, რადგან ისინი პირდაპირ სახელმწიფოს ძირითად კანონების შეცვლას ეხება, რაზედაც სათათბიროს უფლება არა აქვს. რაც შეეხება სათათბიროს ზრუნვას არმიის და ფლოტის შესახებ, მთავრობა აცხადებს, რომ მის იმპერატორობითი უდიდებულესობის პირველი საზრუნავია ყველა ჯარის კაცთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. სათათბიროს სურვილი იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქნას ყველა განსაკუთრებული კანონები და კერძო თანამდებობის პირთა თვითნებობას ბოლო მოეღოს, მინისტრთა საბჭო იმ აზრისაა, რომ ეს საკითხი პირდაპირ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას ეხება. ამ მხრით სათათბიროს მხოლოდ ის უფლება აქვს, რომ შეკითხვა მისცეს მინისტრებს და ცალკე თანამდებობის პირებს, თუ რა გამგეობას ამ, თუ იმ პირის უკანონო მოქმედების შესახებ. მიუხედავათ ამისა, მთავრობა მუდამ იმის ზრუნვაშია, რომ ყველგან ყოველგვარი კანონიერებაზე დამყარდეს და სისტემატიური თვალყურის დაჭერის მთავრობის ყველა ორგანოებში კანონიერება იქნას დაცული. მემამულეების დასამყარებლათ შემოღებულ განსაკუთრებულ კანონებს ყოვლად უვარგისათ სცნობს სახელმწიფო სათათბირო და ამის თანახმა მთავრობაც არის. მათ მაგიერ ახალი კანონების შემუშავებას უკვე შეუდგა სათანადო მთავრობა. მიუხედავათ ამ კანონების უვარგისობის, უკეთუ ის ამ უკანასკნელ ხანებში კიდევ ხმარებაში იყო, მაზეზი ის არის, რომ მკვლელობას და სხვა ბოროტმოქმედებას ბოლო არ ეღებოდა. მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა დაიცვას ყველა მცხოვრებთა სიცოცხლე და ქონება, ამიტომ სანამ ახალი კანონები არ იქნება შემუშავებული და მთავრობას საშუალება არ ექნება ებრძოლოს საზოგადო მშვიდობიანობის დამრღვევლებს, ის იძულებული იქნება მიმართოს არსებულ კანონებს. საყოველთაო პოლიტიკური ამნისტია, რომელსაც სათათბირო თხოულობს, ნიშნავს ყველა დამნაშავეების განთავისუფლებას, ისეთების, რომლებიც სასამართლოს განაჩენით არიან დასჯილნი, ხოლო ეს პირდაპირ უმაღლეს მთავრობის საქმეა, რომელსაც შეუძლია მოიღოს ასეთი მოწყალება. მინისტრთა საბჭო იმ აზრისაა, რომ ასეთი წყალობა დღეს სრულიად არ შეეფერება ქვეყნის მდგომარეობას და არა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. რაც შეეხება ადმინისტრატიული წესით დასჯილთ მინისტრთა საბჭო ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჩქარა განხილულ იქნეს ამა თუ იმ პირთა დანაშაულობა და გაანთავისუფლონ ისინი, რომლების განთავისუფლებით განსაცდელი არ მოელის საზოგადო მშვიდობიანობას. ზემოთ მოყვანილ მოსაზრების მიუხედავათ მინისტრთა საბჭო საჭიროთ სცნობს ახლავე აღნიშნოს საზოგადოთ, თავისი საკანონმდებლო გეგმა. რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრება სავსებით დამყარებულია მიწის მუშა მცხოვრებლებზე. ჩვენი სახელმწიფოს კეთილდღეობა მანამ არ იქნება, სანამ მიწის მუშათა მდგომარეობა არ იქნება გაუმჯობესებული. გლეხთა კითხვა ფრიად მნიშვნელოვანი კითხვაა და ამიტომ მისი გადაწყვეტა დიდ დაკვირვებას და სიფრთხილეს თხოულობს. მინისტრების აზრით, საზოგადოთ სახელმწიფოს წესწყობილების შეცვლა და გლეხთა წარმომადგენლების მონაწილეობა კანონმდებლობაში იმის თავდებია, რომ გლეხთა რეფორმები განხორციელებულ იქნება. ამ პირობებში გლეხები უფლებრივათ გათანასწორებულ უნდა იქნას ყველა სხვა წოდებასთან ერთათ. ამასთანავე გაუქმებულ უნდა იქნას ყველა ის კანონები, რომლების ძალითაც გლეხების სანადელო მიწებზე საკუთრების უფლება იყო შეზღუდული. გლეხების პოლიტიკურ და მოქალაქობრივ უფლებრივ გათანასწორებამ, ხელი არ უნდა შეუშალოს მთავრობას უფრო მზრუნველობით მოეპყრას მათ. ასეთი მზრუნველობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ გაუმჯობესებულ უნდა იქნას მიწით სარგებლობა თავის საზღვრებში და საგლეხო ბანკის შემწეობით მცირე მიწებიან მცხოვრებთ მიწები გაფართოებულ იქნას. ამ მხრით მთავრობას ფართო ასპარეზი ეძლევა სამოქმედოთ. მეურნეობის განვითარება, რაც ეხლა ძალიან დაბლა დგას, ასწევს ქვეყნის წარმოებას და მათ მთელ ქვეყანას ბედნიერებას მოუპოვებს. დღეს მრავალი თვ დ გადაუწყვეტელი ადგილი ცარიელია იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. ამიტომ საბჭოს პირველ საზრუნავათ გადასახლების საქმის მოწესრიგება. აუცილებელ საჭიროთ სცნობენ, დაუყონებლივ მიღებულ იქნას ზომები, მასის გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა და სწავლა-განათლებისთვის. მთავრობა უკვე შეუდგა ამ საგნის შესახებ კანონების შემუშავებას. საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების შესახებ საბჭო ახლო მომავალში წარუდგენს სათათბიროს თავის პროექტს. დარწმუნებული, რომ სახელმწიფოს განახლება შეუძლებელია, უკეთუ დამყარებულ არ იქნა კანონიერება და სამართლე, მინისტრთა საბჭო აუცილებელ საჭიროთ სცნობს ადგილობრივ სასამართლოების ისე მოწყობას, რომ სასამართლო ახლო იდგეს ხალხთან და ხელმისაწვდომი იყოს მათთვის. ადგილობრივ სასამართლოების შესახებ პროექტთან ერთათ საბჭოს შეაქვს სახელმწიფო სათათბიროში თანამდებობის პირთა პასუხის-მგებლობის შესახებ პროექტიც. ამ პროექტების შედგენა იმ აზრითაა გამოწვეული, რომ კანონების სიწმინდე და დაურღვევლობა მაშინ ჩაინერგება მცხოვრებლების გულში, როცა ისინი დარწმუნებული იქნებიან, რომ კანონის დამრღვეველი პასუხისმგებელია, უბრალო მცხოვრები იქნება ის თუ თანამდებობის პირი. გადასახადების გასწორების გეგმათ მინისტრთა საბჭო ფიქრობს, წარუდგინოს საკანონმდებლო მთავრობას შემოსავლის გადასახადის პროექტი და აგრეთვე გაუქმებულ იქნას არა პირდაპირი გადასახადების ზოგიერთი მხარეები. სხვა კანონპროექტებთან ერთათ მინისტრთა საბჭო ფიქრობს შეიმუშაოს პროექტი პასპორტების გაუქმების შესახებ. დასასრულს მინისტრთა საბჭო აცხადებს, რომ აძლევს რა დიდ მნიშვნელობას 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის თანახმათ კანონმდებლობის განახლებას, მთავრობა ამასთანავე მტკიცეთ დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო სიმაგრე და ძლიერება სავსებით დამყარებულია აღმასრულებელ მთავრობაზე. სცნობს რა გადაჭარბებულათ მინისტრთა საბჭო პასუხი აგოს ხალხისა და მონარქის წინაშე საზოგადო წესიერების დაცვის შესახებ, ის დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა შესაძლებელია მხოლოდ წესიერების და თავისუფლების შეთანხმებით, თავის ნაყოფიერ შრომით ხელს შეუწყობს მას დაამყაროს მშვიდობა მთელ სახელმწიფოში".

როდიჩევის შემდეგ, რომლის ტრიბუნიდან გადმოსვლის ყველა დიდის აღტაცებით და ტაშის კვრით მიეგება, ილაპარაკა ანიკინმა. ორატორმა განიხილა დეკლარაციის ყველა მუხლები და დაამტკიცა, რომ ძველი, თვითნებობის და ძალმომრეობის რეჟიმი ისევ ძალაში რჩება; მიწების შესახებ გლეხებმა გარკვევით გამოსთქვეს თავისი აზრი, სათათბიროს ადრეს-პასუხში ნაჩვენებია ის მიწები, რომლებიდანაც უნდა შევსებულ იქნას ის ნადელი, რომელსაც ეხლა გრძნობენ. დასასრულ ორატორმა ზიზღი გამოუცხადა სამინისტროს, რომელიც შეურაცხყოფას აძლევს ხალხის წარმომადგენლებს, მიწების, მთავრობის და სინოდის შესახებ. ანიკინის შემდეგ ილაპარაკა ლედნიცკიმ, რომელმაც საყვედურით აღნიშნა, რომ დეკლარაციაში ერთი სიტყვაც არ არის ეროვნულ უფლებების შესახებ ნათქვამი. ორატორი ამბობს, რომ რუსეთის ყველა ერები შეერთებული ძალით მოიპოვებენ თავისუფლებას. შემდეგ ილაპარაკეს როჟკოვმა, ალადინმა და კოკოშკინმა. ალადინის სიტყვებზე, რომელმაც თქვა, რომ რევოლიუცია და სისხლის ღვრა აუცილებელია, „კმარა“ „კმარა“ ყვიროდენ. კრების უმრავლესობამ პროტესტი განაცხადა სიტყვის თავისუფლების დარღვევისათვის. ალადინმა დამშვიდებით დაათავა თავისი სიტყვა და დასასრულ გადაჭრით მოითხოვა სამინისტროს გადადგომა, რომელსაც უფლება არ ქონდა ისე მოსულიყო სათათბიროში. „აქ შემოსვლამდისათ—სთქვა ორატორმა—საჭიროა გამბედაობა, სიმართლე, რომ ვსთქვა მეტი რე ღირსებით“—თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს. კოკოშკინმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მინისტრთა დეკლარაციაში ყოველივე უფლება დარღვეულია და კიდევ ერთხელ ენერგიულათ მოითხოვა ამნისტია. დასასრულ მან მიმართა სამინისტროს და გაუცხადა, რომ ის ვალდებულია სამსახურიდან გადადგეს. კრება ნახევარი საათით შესწყდა.—კრებას დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და საზღვაო მინისტრი დაესწრნენ.

კრება 5 საათს 20 წუთზე განახლდა. გლეხი სემიონოვი (მოგილევის გუბერნია) ამბობს, რომ სამინისტრო მზათ არის გლეხებს გაუწიოს სამსახური და საგლეხო ბანკებით პირდება დახმარებას, მარა ბანკებმა ჩვენ საბოლოოთ სული ამოგვხადეს, თავის პროცენტებით. ამრჩევლებმა დაგვავალეს ჩვენ მოვითხოვოთ უფლება და მიწები და ჩვენც გვინდა მიწა და თავისუფლება. შჩეპკინი (ოდესა) უკიჟინებს მინისტრებს 23 აპრილს გამოცემულ ძირითად კანონების უცოდინარობას. სამინისტრო კერძო მიწების ჩამორთმევის წინააღმდეგია და ძირითად კანონების 35 მუხლით კი ეპირდება მიწების ჩამორთმევას. სამინისტროს შეუძლებლათ მიაჩნია ქვეყნის მართვა გამგეობა, უკეთუ სამხედრო წესები არ იქნება და ძირითად კანონების 1 მუხლი კი ნებას აძლევს განსაკუთრებულ კანონპროექტების და განკარგულებების ძალაში შეყვანას მხოლოდ უმაღლეს მთავრობის განკარგულებით. სამინისტროს უნდა თითქო ზარბაზნებით დაამშვიდოს ხალხი და ხოცვა-ჟლეტა ასა რა დამშვიდებაა? სამინისტრო წინანდელ პოლიტიკას ებღაუჭება და უარყოფს პარტიებს სათათბიროს წინააღმდეგ ამხედრებს რითაც ის მეფეს და ხალხს ერთმანეთს აშორებს, ამიტომ ის უნდა გადადგეს. გაინცერი უსაყვედურებს სამინისტროს, რომ ის ხმას არ იღებს ეროვნულ უფლებათა გათანასწორების შესახებ, თავისუფლება და წესიერება მხოლოდ მაშინ დამყარდება ქვეყანაზე, როცა ყველა უფლებრივათ გათანასწორებულია და სადაც ეს არ არის იქ წესიერება შეუძლებელია, შემდეგ ლაპარაკობს ოგოროდნიკოვი, რომელიც სრულ წინააღმდეგობას ხედავს 17 ოქტომბრის მანიფესტისა და მინისტრთა დეკლარაციის შორის. შემდეგ კათედრაზე ადის იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი და აცხადებს, რომ მთავრობა საყვედურის ღირსი არაა, უკეთუ ის უკანონოთ იქცევა. სამინისტროს მდგომარეობა ძნელია. ფერფერობით სამინისტრო იძულებულია მთელი კანონებით ისარგებლოს და თან არამც თუ არ უარ ყოფს, პირ იქით საჭიროთ სცნობს მის გაუმჯობესებას და შეცვლას.

**ჩიტა.** განერალ ხოლშჩევნიკოვს უმოქმედობისთვის სასამართლომ ერთი წლით და 4 თვით(?) გადაუწყვიტა; ზოგიერთ უფლების ჩამორთმევით რუმშევიჩს სიკვდილი გამოუცხადეს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. საუცხოვო სიტყვა წარმოსთქვა პროფ. კოვალევსკიმ, რომელიც უარყოფს დეკლარაციის აზრს, თითქო სავალდებულო გამოყიდვა მიწებისა საკუთრების უფლებას არღვევდეს. ყველაზე უფრო ნათელ მაგალითს ასეთი გამოსყიდვისას წარმოადგენს გლეხთა განთავისუფლება. ორატორი წინადადებას აძლევს კრებას შეეკითხოს მინისტრებს, როგორ გაბედეს მათ მეფე-განმათავისუფლებლის ანდერძის წინააღმდეგ წასვლა (ხანგრძლივი ოვაცია). შემდეგ ამნისტიაზე ლაპარაკის დროს ორატორმა განაცხადა: მინისტრები ტყუილათ აუწყებენ დუმას, რომ ამნისტია მეფის პრეროგატივა არისო. ჩვენ თვითონ ვიცით ეს. მინისტრებს იმის თქმა ხომ არ უნდათ, ასეთია მეფის ნებაო. თუ ამის თქმა უნდათ, ისინი შეურაცხყოფენ მეფეს, და ჩვენ კი არ უნდა ვეუბნებოდეთ მათ—სამსახურიდან გამოდით, მეფემ თვითონ უნდა გააძევოს ისინი. ორატორი დაასკვნის—ჩვენ მუშაობას განვაგრძობთ, ვერაფერი შეგვაშინებსო. მხოლოდ ტლანქ ძალას შეუძლია გვაიძულოს ჩვენ აქედან წასვლა (ცხარე ტაშის ცემა). კოვალევსკი წამოდგება და თავს უკრავს დუმას. ტაშის ცემა მეორდება.—გრაფი გეიდენი აცხადებს—იმედი მქონდა მშვიდობიანათ ვიმუშავებდით დუმაში, მაგრამ სამინისტროს დეკლარაციამ ყველა იმედები გამიქარწყლა; სამინისტრო თვით მთავრობისავე აზრს ეწინააღმდეგება, რომელიც ამ ერთი წლის წინათ გამოითქვა საგანგებო კანონების გაუქმების შესახებ. სამინისტრო „ტუპიკს“ მიაწყდა, საიდანაც გამოსავალი აღარ აქვს; საკუთრების პრინციპი არ ირღვევა სავალდებულო ჩამორთმევის მეოხებით, სამინისტრო წინდაწინვე უარს აცხადებს სახელმწიფოს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ კერძო საკუთრების ჩამორთმევაზე; სამინისტროს წასვლის მეტი არაფერი დარჩენია, მაგრამ დუმას კი უფლება არ აქვს სამინისტროს „ოტსტავკა“ მოითხოვოს, მას შეუძლია მხოლოდ მიუთითოს მას წასვლის საჭიროებაზე. დუმა გეიდენს ოვაციას უმართავს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. ცილკინის წინადადებით დუმამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო მორიგ საქმეებზე გადასასვლელათ: „სახელმწიფო დუმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებაში ხედავს საბოლოო და მტკიცე გადაწყვეტილებას მთავრობისას არ დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნანი, რომელთა შეუსრულებლათაც შეუძლებელია ქვეყნის დამშვიდება და სახალხო წარმომადგენელთა ნაყოფიერი მუშაობა, და რადგან თავისი უარით ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მთავრობამ გამოიჩინა აშკარა უყურადღებობა ხალხის ინტერესების შესახებ, დუმა მთელი სახელმწიფოს წინაშე სრულ უნდობლობას უცხადებს უპასუხისმგებლო სამინისტროს; სახელმწიფოს დასამშვიდებლათ აუცილებელ პირობათ მიაჩნია დღევანდელი სამინისტრო დაუყონებლივ სამსახურიდან გადადგეს და მისი ადგილი დუმას ნდობით აღჭურვილმა სამინისტრომ დაიჭიროს; ამის შემდეგ დუმა გადადის მორიგ საქმეებზე“. ეს რეზოლიუცია მიიღო უმრავლესობამ 7-ის წინააღმდეგ. შემდეგი სხდომა მოხდება ორშაბათს.

**ხარკოვი.** არტელშჩიკს თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული კაცი და წაართვეს 9000 მ.

**ტომსკი.** გაანთავისუფლეს 40 ტუსაღზე მეტი.

**ქუთაისი.** არხანგელსკის გუბერნიაში გაიგზავნა 40 პოლიტიკური ტუსაღი.

**პლოცკი.** თავს დაესხნენ ფოსტას, რომელსაც დიდძალი ფული მიჰქონდა, მაგრამ ვერაფერი მოიტაცეს. მოკლულ იქნა ერთი სალდათი. დაიჭრა მეორე სალდათი და მეფოსტე. უკან დაადევნეს ჯარი.

**პეტერბურგი.** დღეს სათათბიროს წევრებს დაეგზავნა მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტი საყოველთაო სწავლების შესახებ. ხარჯები, რომელსაც გამოიწვევს საყოველთაო სწავლების შემოღება უდრის 80,107,590 მანეთს.—უმაღლეს ბეჭდვითი სიტყვის მართველობას აღუძრავს შეუმდგომლობა, პასუხისგებაში იქნენ მიცემული 120 მუხ. ძალით გაზეთები: „ნაშა ჟიზნ“, „დუმა“, „რაბოჩი სლოვო“, „ნევის გაზეთის“ და „ვოლნას“ რედაქტორები, რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის შეერთებულ სიეზდის რეზოლიუციების დაბეჭდვისთვის. დახურული გაზ. „დელო ნაროდა“ რედაქტორი ულიანოვი, სახელმწიფო დუმის წევრი, პასუხისგებაში მიცემული გარდა 120 მუხ. კიდევ 103 და 129 მუხ. ძალით.

**პოლტავა.** სოფ. ქუკში სამი უცნობი დაესხნენ ღვინის სარდაფს და გაიტაცეს 90 ...

**ტომსკი.** გაანთავისუფლეს 40-ზე მეტი ტუსაღი.

**ლუბნი.** ტომსკის და ტობოლის გუბერნიებში იგზავნება 14 პოლიტიკური დამნაშავე.

14 მაისი.

**პეტერბურგი.** სამშაბათიდან გამოვა ახალი ყოველდღიური გაზეთი; „იზვესტია კრესტიანსკიხ დეპუტატოვ“, შრომის ჯგუფის რედაქტორობით. სათათბიროს წარმომადგენელი მიწვეულია მის უდიდებულესობასთან სადილზე 14 მაისს. მე-4 სიეზდი ებრაელების სრულ უფლებების კავშირის დასრულდა. მიღებულია რეზოლიუცია შედგეს სათათბიროში ურიების დეპუტატებისაგან ჯგუფის საერთო მოქმედებისთვის, ჯგუფის წევრები თავისუფალნი არიან და შეუძლიათ რომელ პარტიაშიც უნდათ, ის შევიდნენ.

**მოსკოვი.** ექვსი დაჭრილები, რომელთაც პოლიციის აგენტის დაჭრას აბრალებდენ, იცნო თვითონ დაჭრილმა. ორივე დაჭრილები ცხოვრობდენ ყალბი პასპორტებით. ამ მკვლელებში ერთი აღმოჩნდა რევოლიუციონერი, რომელსაც ბრალდებოდა ბევრი დიდი საქმეები რომელსაც დიდი ხანია დაეძებდა პოლიცია; სხვათა შორის ბრალდებოდა ბანკის გაძარცვა და სოც. დემ. კომიტეტში მონაწილეობა, რომელსაც ყოლია მოსკოვში 5010 მეტი პარტიის წევრი. ... მეებში მომხდარ მიტინგებზე ხდებოდა ... ჩვენები სოციალ-რევოლიუციონერების სა... ზღისთვის. რადგანაც ხმა გავარდა, რომ რევოლიუციონერ მუშებს აზრათ აქვთ 14 მაისს ძალით გაანთავისუფლონ დატუსაღებულნიო, ამიტომ ადმინისტრაციის მიერ მიღებული იყო ყოველივე ენერგიული ზომები.

**კელცი.** სლოვკოვის პასაჟში შევიდნენ ორი შეიარაღებული მღვდლის სახლში და მუქარით მოითხოვეს 40,000 მან. სოციალისტთა პარტიისთვის. ატეხილ აყალმაყალის დროს მძარცველები გაიქცნენ წაიღეს სარდაფიდან 450 მან. ღვინო.

მოკლეს საქონლის მატარებლის უფროსი კონდუქტორი კრილოვი ორის ტყვიით.

**სევასტოპოლი.** მათი უდიდებულესობის დავერგვინების დღესასწაულზე შეკრებილ ხალხში გადააგდეს ყუმბარები. მკვდარია 3, ბევრი დაჭრილია. მთავრობის პირნი არავინ დაშავებულა. ორი მსროლელი დაიჭირეს.

**გროდნო.** გუშინ ლაგერის პარომთან შეიარაღებული ებრაელი თავს დაეცა ... ვოლნოოპრედელიაიუშჩს, რომელმაც შტიკის დახმარებით წაართვა ხანჯალი დამცემს და მორიგი დარაჯის შეშველებით თავი გადაარჩინა.

**პეტერბურგი.** ნამდვილ წყაროებიდან შეგვიძლია გაცნობოთ, რომ სათათბიროს დათხოვის შესახებ ხმები ყოველივე საფუძველს მოკლებულია, სათათბირო 6 კვირას იმუშავებს და ივნისის პირველ რიცხვებში კანიკულებზე დაითხოვენ. მინისტრთა დათხოვნა უმაღლეს მთავრობაზეა დამოკიდებული. იუსტიციის მინისტრის სიტყვა დღევანდელ სათათბიროს კრებაზე პირადათ მის შეხედულობების გამომხატველია.

**პეტერბურგი.** უცხოეთის გაზეთებში გავრცელებული ხმები რაღაც შეთქმულობაზე და ვითომც უნდოდეთ სათათბიროს ჯარის შეყვანა და დეპუტატების დატუსაღება და შემდეგ ტრეპოვის სამხედრო დიქტატურის გამოცხადება თავიდან ბოლომდე სიმართლეს მოკლებულია.

**ელისავეტგრადი.** რადგან ხმები გავრცელდა, რომ პოგრომები მოხდებაო, პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა, ყოველივე უწესოება ძალით იქნება ჩაქრობილი.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქ ა ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ქ-ნი ე. თ.

ლორის-მელიქოვი

ღებულობს კბილით ავათმყოფებს, რკინის გზის მუშებს, მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრებს, იმ დაკლებულ ფასებში, რაც დამტკიცებულია რკინის გზათა უფროსის მიერ.

ავათმყოფნი მიიღებიან: დილის 8—10 ს. რკინის გზის საავათმყოფოს ძველ შენობაში.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“. ტფილისი, მიხეილის ქუჩ., 65.